ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—78.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—375 მან. ცალკე №—15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე.

ოთხშაბათი, ნოემბრისთვის 24. 1920

№ 156

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის
კონიაკი
გაწმენდილი ჭურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

კნეინა სოფიო დავითის ასული და თავადი მიხეილ ალექსანდრეს ძე გრუზინსკები შვილებითა და რძლით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 22 ნოემბერს გარდაიცვალა

თავადი დავით ალექსანდრეს-ძე

სუმბათოვი

პანაშვიდები ყოველ დღეს საღამოს 7 საათზე, მოსკოვის ქუჩა, № 10, დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

2—1 3298

სახელმწიფო თეატრი.

ოპერა

სამშაბათს, 23 ს ნოემბერს
საბალეტო წარმოდგენა მორდკინისა „ჟიზელი“ და ხერეოგრაფიული ეტიუდი.

ოთხშაბათს, 24-ს ნოემბერს
საღამო რომელსაც მართავს ბავშთა და დედათა

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს
ქართულ ენაზე ოპერა
ღალატი
დასაწყისი 8 საათზე

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ახელმწიფო დრამის თეატრი.
(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

ში დაჭრილთა და დასახიჩრებულთა
კავშირის
●●● საღამო ●●●
ხუთშაბათს, ნოემბრის 25 ს
დარისპანის გასაჭირი
ირინეს ბედნიერება
რეჟისორი—აკაკი ფალავა

შაბათს, ნოემბრის 28-ს
პირველად
ზღვასთან
ენგელისა

შაბათს, დეკემბრის 4-ს
პირველად ორგინალური ტრაგედია
ბერდო-ზმანია

ილეთები კასაში
აწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო დრამის თეატრი
ხუთშაბათს ნოემბრის 25-ს
ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის
ს-ა-ღ-ა-მ-ო
დარისპანის გასაჭირი
ირინეს ბედნიერება
დ. კლდიაშვილისა
ლი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
საწყისი საღ. 8 საათზე. — რეჟისორი აკაკი ფალავა
1—1 117.

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ 1921 წ.
„კალენდრები“
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
1) კედლის კალენდარი.
2) ჯიბის კალენდარი
3) მოძრავი კალენდარი ქართულ-რუსული
4) თვიური კალენდარი ქართულ-რუსული
ბი დაბეჭდილია წითელი საღებავით მისამართი თბილისი სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძე.
8—1 2295

1920 წ. ნოემბრის 28-ს
დანიშნულია
არაჩვეულებრივი საზოგადო
კრება
ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებისა (ცენტრობანკის).
კრება შესდგება დღის 12 საათზე ცენტრობანკის შენობაში (პუშკინის ქუჩა № .
ცენტრობანკის გამგეობა.

5 დეკემბერს 1920 წელს ქ. თბილისში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე ეროვნული საბჭოს ქუჩაზე (ყოფილი ფრეილინისა) ს. № 11 დილის 8 ს. საღამოს 6 საათამდის (საათი ძველი დროით) მოხდება დამატებითი

არჩევნები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

11 წევრისა და 4 კანდიდატისა ქ. თბილისისა, ბორჩალოს და თბილისის მაზრების საარჩევნო ოლქისა, 1919 წლის სიებით. ამომრჩეველთა სიების განხილვა შეიძლება პალატის ბინაზე ყოველ დღე დილის 9 ს.-2 საათამდის (ძველი დროით). საარჩევნო უფლება აქვთ, თანახმად პალატის წესდების მე-10 §-სა, მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომთ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო
პალატის კომიტეტი.

3—1 3291

ქალაქ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 6,
გაიხსნა ევროპიული—ქართული ტეხნიკური სავაჭრო და სამრეწველო კონტორა
„ევრ-ივერია“.
კონტორის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აღმშენებლობის და მრეწველობის განვითარებას საქართველოში
კონტორას დამოკიდებულობა აქვს გერმანიასთან და მოკლე ხანში შეუძლია მოაწყოს წისქვილები, სადგურები, ქარხნები და ყოველივე სამრეწველო წარმოება. კონტორამ უკვე მიიღო გერმანიიდან. 3286. 3—1
სამეურნეო და სხვა იარაღები

გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი
იღებს გაკვეთილებს
სასურველია დილის საათები
მისამართი ეროვნ. დემოკრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5)
ტელეფ. № 3-02 გამოელაპარაკეთ 10-2 საათამდე.

გაზ. „საქართველო“-ს
აგენტების საყურადღებოდ
თელავი, ყვირილა, გორი, ახ. სენაკი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. „საქართველო“-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები: წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.

მინდა
მასწავლებელი ფრანგულის
გაკვეთილების მიცემა შეეძლოს საღამოს 6 საათიდან
მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5,
რაჟდენ გვეტაძე

თბილისი და ანგორა.

თბილისის და ანგორის ურთიერთობა—ჩვენი მიმდინარე პოლიტიკის ერთი უმთავრესი საკითხთაგანია. ქემალის შემოტევამ სომხეთზე, მის მიერ ამ უკანასკნელის მეტი წილის დაპყრობამ და საქართველოს საზღვართან მისმა მოდგომამ, ამ საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. ქართული პრესსა მას პერიოდულად უბრუნდება და არკვევს იმ პირობებს, რომელ პირობებშიაც შესაძლებელია თბილისისა და ანგორის კეთილმეზობლური განწყობილება.

ჩვენ ვიცოდით ოსმალეთის ძველი პრეტენზია, რომ მას თვალი ეჭირა ქართველ მუსლიმანებით დასახლებულ საქართველოს კუთხეებზედ. და ჩვენს დამოკიდებულებას ანგორის მთავრობასთან იმის და მიხედვით ვაშინაარსიანებდით, თუ რა პოზიციას დაიჭერდა ეს უკანასკნელი საქართველოს მუსლიმანურ ნაწილისადმი. ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული. საქართველოს პოზიცია ერთხელ და სამუდამოდ გამოურკვეველია. სამუსლიმანო საქართველო საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მის სუვერენობის სახელმწიფოებრივი ობიექტია. ეს პოზიცია შეურყეველია, შეუცვლელი და სამუდამო. აქედან გამოდევნილია ყოველგვარი საკომპრომისო ელემენტი. ეს კატეგორიულია და მის გარეშე შეთანხმებაზე ლაპარაკი—ყოვლად მიუღებელია. საქართველო ყოველგვარი სხვერპლის საფასურით ამ პოზიციას დაიცავს. და ვინაიდან ამ საკითხის მიმართ ოსმალეთის პოზიციას ჩვენთვის ჯერ კიდევ მისი ძველი შეხედულებისა და პრეტენზიების მიხედვით უნდა ვაშუქებდეთ, ამიტომაც ჩვენ თავდაცვის საქმე მაქსიმუმამდე უნდა ავიყვანოთ.

ანგორის რწმუნებულის, ქიაზიმ ბეის განცხადება ჩვენ ვერ გვარწმუნებს იმაში, რომ ანგორის მთავრობას ოსმალეთის პრეტენზიების ლოიალური ლიკვიდაცია მოეხდინოს და საქართველოს მიმართ დასდგომოდეს ახალი მომენტის და მდგომარეობის შესაფერ პოლიტიკას. კეთილმეზობლობის სურვილების დეკლარაცია ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც კეთილმეზობლობის წინ აღმდეგ გაილაშქრებს, ან დაპყრობითი პოლიტიკას აწარმოებს. ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა ისიც, რომ ქიაზიმ ბეი აღნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ძლიერების საერთაშორისო საჭიროებას. მაგრამ ჩვენ უნდა ისიც ვაღიაროთ, რომ ქიაზიმ ბეი გადაჭრით და ურეზერვოთ არაფერს ამბობს საქართველოს იმ ნაწილებზე, რომელთა შესახებ ოსმალეთის მხრივ პრეტენზიას [illegible]ლებოთ საქართველოსათვის კეთილმეზობლობაც მიუღებელია, ხოლო მისი დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოებრიობა—წარმოუდგენელი.

ქიაზიმ ბეის თავშეკავებული და სრულათ გამოუთქმელი სიტყვებიდან ჩვენ ის შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ანგორაც ძველი სტამბოლის ზრახვებს ატარებს სამუსლიმანო საქართველოს შესახებ. და ეს გარემოება ყოვლად შეუძლებელს ხდის იმ მშვენიერ სურვილებს, რომელსაც, მეორე მხრივ, იგივე ანგორა გვითვლის: კეთილმეზობლობისა და საქართველოს ძლიერი სახელმწიფოებრივობის საერთაშორისო საჭიროების შესახებ.

თუ ანგორას ნოვატორობას რამ შეაქვს ძველი სტამბოლის პოლიტიკასა და ცხოვრებაში, იგი უნდა დაადგეს თანამედროვე სახელმწიფოების შექმნა-მოწყობის საქმეში ერთად-ერთ პრინციპს: ეროვნულ პრინციპს. ძველი თეოკრატიული საფუძველი და რელიგიური პრინციპი სახელმწიფოს შესაქმნელად და მის საზღვრების შემოსახაზავად—ანგორამ უნდა უკუაგდოს.

რელიგიის მიხედვით სახელმწიფოების გამოჭრა ყოველ პოლიტიკურ აზრს მოკლებული საქმიანობაა. სამუსლიმანო საქართველოზედ ოსმალეთის პრეტენზია რელიგიურ პრინციპს ემყარება. თუ ანგორას ნამდვილად სწადია საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერება და მასთან კეთილმეზობლობა, მან ლოიალურად ხელი უნდა აიღოს ამ პრინციპზედ და იმ პრეტენზიებზედ, რომელსაც იგი სამუსლიმანო საქართველოზედ აცხადებს. ქიაზიმ ბეიმ ამ მიმართულებით უნდა იმოქმედოს თვის მარწმუნებელ მთავრობასთან, თუ მას სურს დიდი სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას და ოსმალეთ-საქართველოს შორის მეგობრული განწყობილების განმტკიცებას.

ოსმალეთი

ამ სათაურით ჟენევის გაზეთი, „ჟურნალ დე ჟენევ“-ი სწერს შემდეგს:

აგერ სამი თვეა, რაც ბრწყინვალე პორტის დელეგატებმა სევრის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. მაგრამ არევდარევა ოსმალეთში ისეთივე დარჩა, როგორიც იყო, ფრაკიის საკითხი,—დროებით მაინც მოგვარებულია და საბერძნეთის ჯარის ჩარევამ სტამბოლი და ანატოლიის სანაპირო ადგილები გამოაცალკევა. უეჭველია ისიც, რომ გენერალი გუროს აქტივობის წყალობით სირიის საზღვრებზეაც დროებითმა წესიერებამ დაიმკვიდრა. ნაციონალისტებმა დროებით ხელი აიღეს ყოველგვარ მილიტარულ დემონსტრაციაზედ როგორც აღმოსავლეთით, ისე სამხრეთითაც, ანტანტის მხრივ ახალი რეპრესიე-

დღეს

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კ. საბახტარაშვილმა საპასუხო ნოტა გაუგზავნა საბჭოთა რუსეთის მთავრობისათვის გადასაცემად, საქართველოში მყოფ საბჭოთა მისიის უფროსს.

პორტუგალიაში შესდგა პროგრესიული პარტიის მთავრობის კაბინეტი.

ერთა ლიგა, მომავალს სხდომაზედ განიხილავს სომხეთ-ოსმალეთის საკითხს.

ფინეთის მთავრობა გადადგა.

წ ე რ ი ლ ე ბ ი.

მეთაური: ანგორა და თბილისი.
პრესა: „სამუსლიმანო საქართველო".
იაპონია და საკონფლიქტო დაახლოვებ
მოხუცი. მწარე ფიქრები.
ჩვენი კორესპონდენტები: ხაშური, თერჯოლა.

ძოზენ შეტევას კავკასიის მხრით, რომ შეუერთდნენ თავიანთ მოკავშირე-ბოლშევიკებს. ამიტომაც, მათი ეხლანდელი მიზანი, მოსკოვთან შეთანხმებით, ისაა რომ გაანადგურონ სომხეთი და საქართველო. ის აგიტაციაც, რომელსაც ისინი აწარმოებენ და აღვივებენ სპარსეთსა, მესოპოტამიასა და მცირე აზიაში, თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს.

ესეთი სახიფათო მდგომარეობა ამტკიცებს იმ შეცდომის დიდ სიმძიმეს, რომელიც დიდი ბრიტანიის დიპლომატიამ ჩაიდინა. ინგლისი ფიქრობდა რომ აჯანყებულთა მოძრაობას განელებდა, თუ თვითონ სტამბოლს დაიჭერდა, ხოლო საბერძნეთის ჯარს კი, მცირე აზიაში, საპოლიციო როლს დააკისრებდა. მაგრამ ინგლისმა ამით მხოლოდ გააცხარა მუსტაფა ქემალ-ფაშის მომხრეთა ფანატიზმი და გაადიდა ანგორის დირეკტორიის პრესტიჟი.

ასეთ პირობებში კიდევ უფრო გაძნელდა დიდი ვეზირის, დამად ფერიდის მდგომარეობა,—იმ დამად ფერიდისა, რომელიც ხელისუფლების სათავეს მოექცა იმის წყალობით, რომ გულწრფელი ანგლოფილი იყო. იანვრის არჩევნებიდან წარმოშობილი პარლამენტიც მისი წინააღმდეგი იყო.

ამნისტიის წინადადების წამოყენებით, დიდი ვეზირი ფიქრობდა რომ ნაციონალისტებთან შეთანხმების ნიადაგს ჰპოებდა, მაგრამ უკანასკნელებმა უარი სთქვეს მასთან მოლაპარაკების დაწყებაზე, ისიც იძულებული გახდა სრულიად გადამდგარიყო.

თავისი ფავორიტის დამარცხების შემდეგ, ინგლისის დიპლომატიამ შეიგნო რომ საჭირო იყო ანგორასა და სტამბოლ შორის უფრო შემარიგებელი და დამაახლოვებელი პოლიტიკის წარმოება. და იმათაც მიაშურა მოქმედების იმ ხაზს, რომელსაც დიდის ხნით მოითხოვდა საფრანგეთი და იტალია და შეეცადა მიეხრო ზომიერი ნაციონალისტები, რომელთაც შეეძლო მხოლოდ და მარტოდ მარტო იმ ხრამის ამოვსება, რომელიც დღეს ოსმალეთს ორ ბანაკად ჰყოფს და რომელთაც შეეძლოთ აგრეთვე ბრწყინვალე პორტის ავტორიტეტის წამოყენება. და ამისთვისაც შესდგა ახალი კაბინეტი, რომელსაც თავმჯდომარეობდა თევკით ფაშა, ოსმალეთის ყოფილი ელჩი ლონდონში,—ესეც ცნობილი ანგლოფილი.

დღევანდელი დიდი ვეზირის მდგომარეობა მეტად მწვავეა. მაგრამ იმის წყალობით რომ ნაციონალისტთა ბანაკში განხეთქილება ჩამოვარდა და რომ ქემალ ფაშის გადაჭარბებული უკიდურესობის წინააღმდეგ მოძრაობამაც თავი იჩინა,—იქნებ შესაძლებელი გახდეს ისეთი ფორმულის გამოძებნა, რომელიც ერთის მხრით საზავო ხელშეკრულობის დადგენილებათ დაიცავდეს, ხოლო მეორეს მხრით დააკმაყოფილებდეს აჯანყებულთა არსებით მოთხოვნილებებს.

მაგრამ ასეთი შერიგებულება ისე არ მოხდება, რომ მასთანვე არ დაისვას მეტად მძიმე პრობლემები.

გენერალ პარასკევოპულოსი და მისი ჯარის ერთი ნაწილის სმირნიდან ათინაში გამოწვევა ეჭვს გარეშეა საბერძნეთის საზოგადოებრივ აზრს შეაფიქრიანებს. საბერძნეთი, რომელმაც უკანასკნელი სამხედრო კამპანიის დროს დიდძალი სხვერპლი გაიღო, ვერ გაიგებს ან ცუდათ გაიგებს, რომ მისი მოქმედებანი ასე რიგად დაქვემდებარებული არიან ბრიტანიის პოლიტიკის ფანტაზიებზე. მეორე მხრით სომხეთი და საქართველოც, რომელთაც სრული უფლება ჰქონდათ ანტანტის დახმარების იმედი ჰქონდათ, ძნელად შეითვისებენ ამგვარ აბრუნდს, რომელმაც შეიძლება ორივე ხელფეხ შეკრული მიუგდოს მათსვე დაუძინებელს მტერს. რაც გინდა იყოს, დამადის დამხობა, თევკით ფაშის ამაღლება და ანგორის ნაციონალისტებთან მოლაპარაკების დაწყება მოასწავებს იმას რომ ანტანტის საალმოსავლეთო პოლიტიკაში გადაწყვეტილი შეტრიალება მოხდა. თავისი პირველი პროგრამის დამარცხების შემდეგ, ინგლისის დიპლომატია დაადგა თვის მოკავშირეთა შეხედულებას, და თავი გაანება მანევრების ცალკე წარმოებას. მან შეიგნო, რომ ოსმალეთის ლიკვიდაციის პრობლემა განუყოფელია საერთო სამუსლიმანო საკითხისაგან. ამიტომაც, მას შემდეგ რაც თვით სტამბოლში სანდო ყავარჯენი დაიჩინა, იგი დაუბრუნდა ფართე და შემარიგებელ მეთოდებს.

[illegible], ასეთი აბრუნდი სასურველისათვის. მაგრამ ამით საფრთხე კი არ შემცირებულა. მართლაც, საშიში ისაა, რომ მოკავშირენი ნამეტანი არ გადაყვენენ ისლამთან შერიგებას და ძალზე არ მიივიწყონ ის პრინციპები, რომელმაც მათ უკარნახა სევრის ხელშეკრულობის არსებითი მუხლები. ოსმალთა ეროვნული სახელმწიფოს რესტავრაცია, სტამბოლში ხალიფატის დატოვება, აფრიკისა და აზიის მუსლიმანთა დაშოშმინება ვინ იტყვის რომ მეტად კარგი საქმე არ იყვეს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ევროპა ვალდებულია დაიცვას ის დაპირებანი, რომელიც მან მისცა ძველი სულთნების მსხვერპლებს. ვინაიდან მცირე აზიაში სისხლი სულ იღვრება და იღრება. და დასავლეთის სახელმწიფონი, რომელნიც მილიონებს ყოველთვის შოულობენ ხელთ, როდესაც დენიკინი, ან ვრანგელია შესაიარაღებელი,—ეს სახელმწიფონი არაფერს აკეთებენ, რომ ბოლო მოუღონ ამ სისხლის ღვრას და წამებას.

პრესა.

ბათომის ოლქში საქართველოს წინააღმდეგ განწყობილ მტრის ჩუმი მუშაობის შესახებ გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო'' სწერს:

,,სომხეთის განადგურებამ და ქემალის გამარჯვებამ საქართველოს რესპუბლიკა შეაფიქრიანა.

ერთი ერთმანეთზე მოსული ცნობები, ბათომსა და ბათომის ოლქში გავრცელებული პროკლამაციები, ათასნაირი მოწოდება უფრო ავანტიურისტთა და თავზე ხელაღებულთა საქმენი გამოდგა, ვიდრე ანგორის მთავრობის ნამოქმედარი.

ჩვენს ქვეყანას ბევრი ჰყავს ნაძირალი, ბევრი ჰყავს პატიოსან შრომას გადაჩვეული პირები, რომელნიც მუდმივმა თოფის ხელში ჭერამ გარყვნა, გაათახსირა და თოლიან ცხოვრებას შეაჩვია, ცარცვა-გლეჯით ნავარდობს.

და აი, ამ შემთხვევაშიაც ასეთ გარეწართა ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს ოლქში გავრცელებული პროკლამაციები.

ხალხი მოვალეა, სდევნოს ასეთი მატრაკვეცანი, უნდობნი და ვერაგნი.

ჩვენ ყური ვუგდოთ ჩვენს ფხიზელ მთავრობას და მაშინ გამოვიდეთ ქუდზე კაცი, როცა დაგვიძახოს.

სხვაფრივ მყუდრო მუშაობაზე ხელს ნუ იღებთ.

გარეშე მთავრობისა და მისი რწმუნებულის ოფიციალის განცხადებისა ყველა გავრცელებული ხმა სიმართლეს მოკლებული იქნება.

დღეს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა კი აღმშენებლობაზეა გადასული, თქმა არ უნდა ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში მუქთახორობას შეჩვეულნი იუკადრისებენ პატიოსან ოფლით ცხოვრებას და შეეცდებიან, რომ მშვიდობიანობა დაირღვეს, ხელი მოიბანონ არეულობით.

ნუ შფოთავთ: უმიზეზოთ შიში ომისა და მეზობელ ოსმალეთთან დამოკიდებულების გამწვავებისა გაჰქრა.

გაუგებრობის ნასკვი გამოიხსნა.

ორთავე მთავრობა, საქართველოსი და ანგორასი ერთმანეთს ოფიციალ წარმომადგენლებს უგზავნიან და კეთილ განწყობილების განმტკიცებაზე ჰფიქრობენ.

ყური ვათხოვოთ მხოლოდ მათ და მხოლოდ მათ.

აშხატაგორი.

საქართველო და სომხეთი.

,,ქართული შოვინისტური გაზეთები მოითხოვენ, რომ დაიკავებით ნეიტრალური ზონა, რადგან საქართველოს საზღვრებს მტერი მოსდგომიაო. და ეხლა როგორც გვატყობინებენ სანაინიდან, მთავრობამ გადაუდგამს მეტი ნაბიჯიც. ქართულ ჯარებს დაუკავებიათ ნეიტრალური ზონა და ფიქრობენ დაიკავონ თვით სოფელი შაჰალიც.

ხმებაა ქართველმა ჯარებმა გადალახეს სომხეთის საზღვრებიო.

,,ასე, საქართველოს მთავრობის ,,მეგობრობა'' უცნაური ხდება. მთავრობა სარგებლობს სომხეთის მძიმე მდგომარეობით, იკავებს არა თუ ,,სადავო'', არამედ უდავო სომხეთის ნაწილებსაც.

,,როგორ უნდა აიხსნას მთავრობის ამისთანა მიუტევებელი მოპყრობა სო-

„ნუ თუ საჭიროა ითქვას, რომ ძალიან სცდებიან ქართველი, შინ გაზრდილი პოლიტიკოსები, თუ ადრევე ჯვარს უსვამენ სომხეთს. უნდა დაბოლოს ის აზრი შეითვისონ მათ, რომ თუ არ იქნება სომხეთი, არ იქნება საქართველოც. ამიტომ „შემთხვევით სარგებლობის" პოლიტიკა გარდა სახელის გატეხისა, არაფერს მოუტანს.

რაგინდ სომეხი დემოკრატია სუსტი არ იყოს დღეს, ვერ დაივიწყებს ასეთ ტაქტიკას, რაც ნიშნავს ზურგიდან მახვილის ჩაცემას და დახმარების, მაგიერ გაჭირვებულ დროს მეზობლის გაძარცვას. ვიცით, ქართული ხელმძღვანელი წრეები საკმარისად ოსტატნი არიან „ახსნან" და გაამართლონ თავიანთი ნაბიჯები. მეტიც: ხვალ ეცდებიან ეს ნაბიჯი გაიშუქონ როგორც ერთი მეგობრული აქტი,—მაგრამ გვგონია, ქართულ და სომეხ დემოკრატიისთვის უნდა ცხადი იყოს, რომ დღეს მეორდება ძველი ისტორია და სოციალ-პატრიოტების მისწრაფებებს ახალი ძალა მიუღიათ ოსმალეთის ფაშების დანახვაზე.

„ჩვენ გვინდა ამ გარდამავალ ისტორიულ მომენტში ნათელად გავხადოთ რევოლიუციონურ მშრომელ ხალხისთვის თუ რას შნო აქვთ ქართველ მენშევიკებს და რამდენათ „თანდათანობითი", „მეგობრული" და „პატიოსანი" ქცევაა მათი მოქმედება. ამავე დროს გვინდა ისიც ვთქვათ, რომ ამ ტაქტიკას შეუძლია მხოლოდ ხელოვნური მტრობა გამოიწვიოს ორი ერთი ბედის ქვეშ მყოფს ხალხს შორის.

„და თუ ეს ტაქტიკა დაუყოვნებლივ არ გამოსწორდა, ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ მთელი სომეხი და ქართველი მშრომელი ხალხის უკეთესი ნაწილი აღსდგება ქართველი მენშევიკების შინგაზრდილი იმპერიალიზმის ასალაგმავად"..

ამერიკა იაპონიის საკონფლიქტო დაახლოვება.

ამას წინათ დეპეშებმა გვაცნობეს რომ ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციაზე ამერიკის წარმომადგენელმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ამერიკა აქტიურად არ ჩაერევოდა ევროპის ეკონომიური და ფინანსიური გაუმჯობესების საქმეში, თუმცა ევროპის წარმატებაში იგი დაინტერესებული იყო. ეს განცხადება ყოველ იმედების გამაცრუებელია ევროპის იმ წრეებისათვის, რომელნიც ევროპის ხსნას სწორედ ამერიკიდან მოელოდნენ. ზოგს ეგონა, რომ ამერიკა უარს იტყოდა იმ ცხრა მილიარდ დოლარზე, რომელიც მან ევროპას ასესხა ომიანობის დროს და რომ მას ამ აქტში ინგლისიც წაბაძავდა, რომელსაც სხვებზე ცხრაასიოდე მილიონი გირვ. სტერლინგი აქვს გაცემული. ფიქრობდნენ აგრეთვე რომ ამას გარდა ამერიკა და ინგლისი კიდევ ნახევ. მილიარდ გირვ. სტერლინგს გამოიღებდნენ იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებსაც, მრეწველობის მხრივ, ერთგვარი მნიშვნელობა აქვს თვით ევროპისათვის. ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკის მოქმედებამ აშკარად დაგვანახა, რომ მას სულ სხვა მიზნები და პერსპექტივები აქვს. გარდინგის გამარჯვება ვილსონის პოლიტიკის დამარცხებაა. ამერიკა ევროპას ძლიერ სახელმწიფოებთან ვერ ითანამშრომლებდა ისე, როგორც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, უმთავრესათ ამიტომ, რომ ინგლისი უკვე აშკარათ გვერდში ამოუდგა ამერიკის მოწინააღმდეგეს, როგორც ვაჭრობა მრეწველობაში, ისე ზღვაოსნობაში: ინგლისმა იაპონიასთან ხელშეკრულობა განაახლა და იგი უფრო შინაარსიანი გაჰხადა; იაპონია ყველაზედ უფრო საშიში კონკურენტია ამერიკისა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიის მრეწველობა შეფერხდა. გასოცარია იაპონიის მრეწველობის ზრდა.

1908 წლის იაპონიაში სამრეწველო წარმოება უდრიდა—105.000.000 იენს, 1917 წ. კი—თითქმის ნახევარ მილიარდს (442 მილიონ იენს). იაპონიას ჯერჯერობით საკმარისი ქვანახშირი აქვს, მაგრამ არც იმდენი, რომ დამშვიდებული იყოს მომავლისათვის. მით უმეტეს, როდესაც მისი მრეწველობა ასე სწრაფად ვითარდება. ამიტომაც იაპონიამ—მართავს ორგვარ ზომას: ჰიდრო-ელექტრონის საჭიროდ შემოღებას—მას აქვს საუცხოვო ჩქარი მთის მდინარეები—და ჩინეთის ქვანახშირიანი ადგილების დაუფლებას. ჩინეთი კიდევ მით არის იაპონიისთვის საინტერესო, რომ იქ საკმაო რკინეულობაა, რომელიც იაპონიას ასე რიგათ სჭირია და რომელსაც იგი სხვა ქვეყნებიდან ეზიდებოდა თუ რამდენათ გაიზარდა იაპონიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობა-მრეწველობაში, ნათლა მტკიცდება შემდეგით:

წწ.	იმპორტი	ექსპორტი
1682 წ.	29.446.584 იენი	37721751 იენი
1917 წ.	1.035.811.107 ,,	1603005048 ,,

ამ მოვლენაში უმთავრესი როლი მთავრობის პოლიტიკამ ითამაშა; თვით იაპონიის ვაჭარ მრეწველთა წრეები უფრო დაბალ ღირებულებას წარმოადგენენ ვიდრე მათი უცხოელი—ევროპა ამერიკის კონკურენტები. იაპონიის ასეთმა უმბერაზიულმა ზრდამ ამერიკაში სრულ. სამართლიანად დიდი შიში გამოიწვია. ამერიკის წარმოება და [illegible] მიცემობა ამ უკანასკნელ ხანებში ერთგვარ დეპრესიას განიცდის. საგრძნობლად იკლო მისმა საგარეო ვაჭრობამ, როგორც საკმაოდ ნათლად ჰყოფს შემდეგი ოფიციალი ციფრები; წლის პირველ ოთხი თვის მანძილზე, ამერიკის იმპორტ-ექს-

	ექსპორტი	იმპორტი
1919 წ. (1 იანვ—31 აპრილამდე).	2.525 მილ. დოლარი	988 მილ. დოლ.
1920 წ.	2,871 მილ. დ.	1.920 მილ. დ.

ე. ი. 38 პროცენტით უკლია საგარეო ვაჭრობის აქტივობას.

ამერიკა, რასაკვირველია, ამას, ასე ადვილად ვერ მოითმენდა და იგიც სათანადო გზების ძებნას შეუდგა. დეპეშებმა ცნობა მოგვიტანა, რომ ამერიკას გადაწყვეტილი ჰქონია რუსეთთან აღებ-მიცემობის განახლება, და ამ მიზნით მას კიდეც გადუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები. [illegible] ამერიკულ ფირმა მანლიჰპერსა მოსკოვში ხელშეკრულებას სდებს საბჭოთა მთავრობასთან რუსეთის აღმოსავლეთ პროვინციების ბუნებრივ სიმდიდრეთა ინდუსტრიალურად გამოყენების შესახებ.

ეს პირდაპირი შეჭრაა ამერიკისა იმ გავლენის სფეროში, სადაც იაპონია აქამომდე თავის თავს ყოვლის მხრივ თვლიდა: ციმბირი—მანჯურია, კამჩატკა და სხვ. პროვინციები უშუალო გაგრძელებაა ერთი მთლიანი ჰინტერლანდისა იმ ზღვისა სადაც იაპონიას ჯერ კონკურენტი არა ჰყავს. დღე აქ ცხადდება იაპონია ამერიკის ინტერესთა წინააღმდეგობა. ეს დაპირისპირება ჯერ მხოლოდ ქაღალდზეა, ხელშეკრულებებშია, ხოლო თუ ამერიკის ეს გეგმები განხორციელდა, მაშინ ეს წინააღმდეგობა რეალურ ხორცშესხმულ ფაქტად გადაიქცევა, რომელმაც, შეიძლება კაცობრიობა ახალი დიდი სიურპრიზების წინაშე დააყენოს.

ოსმალეთი და საქართველო

ქიაზიმ ყარა ბექირის მოწოდება

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ყარსში მყოფმა ოსმალთა ჯარის მთავარ სარდალმა ქიაზიმ კარა ბექირ ფაშამ სასტიკი ბრძანება გაუგზავნა ტრაპიზონის გუბერნიის მმართველს, და მოსთხოვა სასტიკი გამოძიება და იმ პირთა დატყვევება, რომელნიც ადგილობრივ ხალხს საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებენ და სისხლის ღვრისკენ მიუწოდებენ.

ოსმალეთის წარმომადგენელი საქართველოში

ანატოლიის მთავრობა და საქართველო
დამოკიდებულება საქართველოსთან.

ჩვენმა თანამშრომელმა ინახულა ბათომს ჩამოსული ანგორის წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან და შემდეგი კითხვები დაუსვა: რა არის თქვენი მისიის ჩამოსვლის მიზანი. როგორ უყურებს ანგორის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს და რა აზრისაა საერთოდ საქართველოზე. როგორ უყურებს ანგორის მთავრობა მუსლიმან ქართველებს და კერძოდ ბათომის და მის ოლქის მუსლიმანებს, რას ფიქრობს მათ შესახებ.

ამ კითხვებზე ქიაზიმ ბეიმ შემდეგი განაცხადა. მე ჩემმა მთავრობამ გამომგზავნა ტფილისში იმისთვის, რომ ჩვენს მეზობელ საქართველოსთან კეთილ მეზობლური და შეურყეველი კავშირი დავამყაროთ. ეს არის ჩემი მთავრობის წმინდა განზრახვა.

საქართველოს მთავრობას მე უკვე გადავეცი ჩემი ფირმანი. გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ ანგორის მთავრობის ინტერესია რომ დამოუკიდებელმა და ძლიერმა საქართველოს სახელმწიფომ იარსებოს. საქართველოსთან მეგობრულ კავშირის დამყარება და მათ შორის კითხვების გადაჭრა სწორედ ამ ნიადაგზედ უნდა მოხდეს.

ანგორის მთავრობამ საქართველოს მთავრობის შორსმჭვრეტელი პოლიტიკა სათანადოდ დააფასა და თვით ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალი ურთიერთობა გაება საქართველოს მთავრობასთან, რომლის გარკვეული და შეურყეველი პოლიტიკა აღმოცენებულია საქართველოს ძირითად ინტერესებზე.

საქართველოში, მცხოვრები მუსლიმანები ჩვენთან ერთად არიან საუკუნოებრივ შექმნილ სარწმუნოებით და ჩვენ მოხარულნი ვართ რომ საქართველოში მუსლიმანები კარგად ცხოვრობენ და თავის თავისუფლად გრძნობენ. საქართველოს გონიერმა პოლიტიკამ საქართველო და ოსმალეთი ურთიერთს უნდა დაუახლოვოს და მათ შორის შეურყეველ მეგობრობის პირობები უნდა შექმნას.

საზღვრები

რაც შეეხება საზღვრებს, მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენის მტრების და ზოგიერთ თავზეხელაღებულთა ყვირილის მიუხედავად, ეს საკითხი მოლაპარაკების და მშვიდობიანობის გზით გადაწყდება. მე ამაში დარწმუნებული ვარ. ამ რწმენას [illegible] ის გარემოება, რომ ჩვენ შორის არ არსებობს ისეთი ნიადაგი, რომელზედაც შეიძლებოდეს შურისა და მტრობის დათესვა. ქართველობამ უკვე დაიმსახურა ჩვენი სიმპატია. მე სრული იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დაფასებული იქნება ჩემის მთავრობის და ხალხის ასეთი გულწრფელობა საქართველოს ხალხის მიმართ.

ჩვენშორის გადასაწყვეტი როგორც მნიშვნელოვანი ისე უმნიშვნელო საკითხები [illegible] ურთიერთის სრულ ნდობაზე და გულწრფელობაზე. ამ წმინდა გრძნობების განხორციელებლად ჩვენს შორის უკვე მოლაპარაკებაა დაწყებული.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პრესამ ანგორის მთავრობის შესახებ, რო-

პილება არა აქვს საქართველოს მიმართ, რაც ჩვენ არა ერთხელ გაგვიცხადებია,—უნდა გამონახოს მეგობრული ენა. დამოუკიდებელ საქართველოს ლამაზი დიდი ქალაქი თვისი გეოგრაფიულ მდებარეობით, ორ ზღვის შუა, ყველა პოლიტიკური ქარის აფრაა და ამიტომ ქართულ პრესას საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევს საყვარელ სამშობლოსათვის.

(გაზ. ,,სამუს ლ. საქართველო)
(შემდეგი იქნება).

საქართველო და ევროპის სოციალისტები.

გაზ. ,,ახ. კომუნისტ''-ში მოთავსებულია რადეკის საყურადღებო წერილი ამას წინად საქართველოში ჩამოსულ ევროპის სოციალისტების შესახებ. მოგვყავს შემოკლებით:

თავის დროზე გაზ. ,,პრავდამ'' აღნიშნა მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლების საქართველოში გამგზავრება. ,,პრავდის'' ბათომელი კორესპონდენტი იუმორით აღწერს ვანდერველდე გიუისმანსთან ერთად და კაუცკის თავის განუყრელ ლუიზათი იმ ქვეყანაში ჩამოსვლას, სადაც გარდა სპეკულიაციის (პოლიტიკური და ეკონომიურისა) და ყალბი, შეკეთებული სოციალიზმისა არსებობს აგრეთვე მშვენიერი, თვალწარმტაცი ყაზბეგის მწვერვალი და კახეთი რომლის შესახებ უეჭველია არა უმიზეზოთ—ასეთი აღტაცებით ლაპარაკობს თავის გამოსამშვიდობებელ წერილში (მ-ლი) გიუისმანსი, რომელსაც ასე გაგიჟებით შეუყვარებია ეს მშვენიერი მომხიბლავი ბუნების სურათები. საქართველოს გაზეთებიდან რამდენიც გნებავთ იმდენი სახუმარო შტრიხების ამოღება შეიძლებოდა. ჯერ ერთი. რათ ღირს ის ფაქტი, რომ საწყალობელი კარლ კაუცკი მთელი თავისი სანჩო პანჩოების შტაბით იძულებული იყო მიეტოვებია დამპალი გერმანია და დამპალი საფრანგეთი და როგორც ახალი დროის იაზონი, ეძებნა კავკასიაში ისეთი ქვეყნები, რომლებიც ,,კაუცკიანელ'' მე 2 ინტერნაციონალს სალამ ქალამს მიუძღვნიდენ.

აბა რათ ღირს ის სურათი, როდესაც საქართველოს მთელი ყვითელი პრესა დაფნის გვირგვინს ადებს მე-2 ინტერნაციონალის პატივცემულ მასწავლებელს თავზე და თვალ-ცრემლიანი აცხადებს: ,,აბა, ერთი შეხედეთ, თუ როგორ საქართველო, ბარბაროსულ მოსკოვიდან გამოყოფილი, ეზიარა ევროპის ცივილიზაციას''-ო მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მე-2 ინტერნაციონალის თეორეტიკის პატივცემული მუმია, მიუხედავათ ძლიერი კუჭის ტკივილისა მაინც წავიდა საქართველოში შავი ზღვის აღქაფებული ტალღების გზით, მხოლოდ იმიტომ, რომ სულიერათ დაისვენოს ამ ქვეყანაში, რადგან ევროპის მთელი წყეული ისტორია თვისი იმპერიალიზმით, რომელიც არსებობს მხოლოთ კაპიტალისტების გაუგებრობით, მათ და უნებურათ, და სამჯერ წყეული კომუნიზმი, რომელიც წარმოიშვა მუშების შეუგნებლობით და ლენინის ბოროტი ბუნების გამო, აუტანელი შეიქნა კაუცკისათვის. ყველაფერი ეს თუ გინდ გამამართლებელი იყვეს კაუცკისათვის, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ბატონი რენოდელი, მინისტრი ვანდერველდე და ინგლისის შრომის პარტიის პარლამენტის კომიტეტის ,,სახელოვანი'' ბელადი ტომ-შოუ, თუმცა დიდი მოყვარული არიან კახურის, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მარტო ამ მიზეზების გამო წავიდენ საქართველოში. რაშია აქ საქმე, ამას მკითხველი გაიგებს ქვემოთ მოყვანილ ფაქტების დაპირდაპირებით.

მე-2 ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესი წინააღმდეგ წავიდა მოკავშირეთა მიერ საბჭოთა რუსეთის საქმეებში სამხედრო ინტერვენციისა. მაგრამ ამავე დროს ის საბჭოთა ,,იმპერიალიზმის'' წინააღმდეგაც წავიდა, რადგან ის იპყრობს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, როგორც მაგალითად აზერბაიჯანია. როდესაც აზერბაიჯანი დაიკავა ინგლისელებმა, მე 2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ აზერბაიჯანის საქმეებისათვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანის მაძებარ პოლიციას ხელმძღვანელობდენ პატივცემული ინგლისელი ტრედიუნიონელები მხოლოდ მის შემდეგ, რაც თათრის სპეკულიანტების და მუსულმანების ბურჟუაზიის პარტია გადაყენებულ იქმნა მთავრობიდან და ბაქოს ნავთს დაეპატრონენ ბაქოს მუშები, რომლებიც მიუხედავათ მძიმე პირობებისა დიდ ენერგიას ხარჯვენ, რომ რუსეთის მუშათა კლასს მიაწოდონ ის—მხოლოდ ამის შემდეგ გაიგო ბატონმა ტომ შოუმ, რომ არსებობს აზერბაიჯანი, მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდა კავკასიის კითხვებით მთელი მე-2 ინტერნაციონალი.

სწორედ იმ დროს მოხდა მე-2 ინტერნაციონალის დელეგაციის საქართველოში გამგზავრება, როდესაც ინგლისის მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო საქართველოს მთავრობასთან საქართველოსათვის ფულის სესხების საკითხის შესახებ. საქართველოს ბევრი არაფერი აქვს ისეთი რითაც შეიძლოს მას

ვ ქვს მადნები [illegible] ფინანს ბის აზრით, [illegible] გასანაღდებლად [illegible] მთავრობამ საქართველოს ავან ლენტის სახით მოითხოვა ბათომის რით მაშზე (ინგლისზე) გადაცემა.

ბათომი სჭირდება ინგლის როგორც ოსმალეთის აჯ ნებ წინააღმდეგ საოპერაციო პუნქ აგრეთვე, როგორც პირველი კავკასიისა პირველ რიგში ბაქ აჭერათ. ბაქ ს დაჭერით, ბატონ გლისის იმპერიალისტებს იმედი რომ თავს გაინთავისუფლებენ ახლო მოსაზღვრეში ბოლშევიკურ კომუნის აგიტაციის ცენტრისაგან, ამასთან თად ინგლისელები ფიქრობენ საბ რუსეთი მოწყვიტონ ნავთის ცენტ

თავის თავად ცხადია, რომ ფართე ოპერაციების დაწყება შეუ ბელია უიმისოთ, თუ რომ ამას არ უძღვის პოლიტიკური მომზა ამ პოლიტიკურათ მომზადებისა წავიდა მე 2 ინტერნაციონალის დე გატები საქართველოში, რომლის ლი, როგორც კაუცკი და დებრუ თვის და უნებური სათამაშო ნივთ ინგლისის ხელში. ხოლო დელეგა სხვა წევრები კი, როგორც მაგ. მი ტრი ვანდერველდე, როგორც ბატ რენოდელი, რომელიც პოლონ ბრძანდებოდა—არ ვიცით ვისი ფუ ბით: და ბატონი შოუ, უკვე შეგნ ლათ გამოსული პოლიტიკური აგენ არიან ინგლისის ხელში.

რუსეთში, რომ ბურჟუაზიული მ რობა გამეფდეს ისინი სიხარულის მლებს დაღვრიან მეტის ბედნიერებ გან გუჩკოვის გულზე. იმ დროს, დესაც ბატონი გეგეჭკორი ძველი ქტატების მიხედვით თავის კოლ მი საპასუხო ნოტაში რომის გაზ. ბუნაში'' ამტკიცებს, რომ რუსეთმა შესრულა საქართველოს მიმართ თ სი დაპირება ვალდებულებები, რო ბოლო მოუღო საქართველოს რუსეთ თავისუფალ შეკავშირების საქმესო, ვე დროს საქართველოს მენშევიკ გაზეთი გვარწმუნებს, რომ ისინი მა უნებურათ არიან სეპარატისტები.

და აი, იმ დროს, როდესაც ინგლ მთავრობას სურს საქართველოს გამ ლების თანხმობით საქართველოს ტე ტორიით გაილაშქროს საბჭოთა რუ თის წინააღმდეგ, როდესაც ინგლის მთავრობას სურს საქართველოს თა მობით დაიკავოს ბათომი, ის გზავნ ბატონებს მე-2 ინტერნაციონალის ზმებიდან საქართველოში.

მე-2 ინტერნაციონალის დელეგა წევრების მოქმედება და მათი იუმორ ტული მოგზაურობა ჩოჩორით კახე ღვინის ქვეყნებისაკენ გადიქცა მოქნ პოლიტიკურ ოპერაციათ.

მე-2 ინტერნაციონალის დიდათ პატივცემული დელეგაცია თავის რო ასრულებს ისე, თითქოს ნოტებზე იმ რია. ის საბჭოთა რუსეთის მიმართ ლებით მუშლებს იქნეს, ლაპარაკ საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ამავე დროს ეუბნება საქართველოს მ ინტერნაციონალი მის რიგებში ხომ ტანტას მინისტრები არიან—და იცავ საქართველოს თავისუფლებას და საქა თველოს დამოუკიდებლობას (იხილე ნოდელის სიტყვა—გაზ. „თბილისის ს ვოში" 21 სექტემბერს მოთავსებულ

ეს უკანასკნელი განცხადება კომ ნოტის კომპენსაციაა. ამ რიგათ ჩვე წინაშე სწარმოებს ერთგვარი საქმ მოჭახრაკება მე 2 ინტერნაციონალ დროშის ქვეშ საქართველოს მენშევ კებსა და ინგლისის იმპერიალისტ შორის.

საქართველო-სომხეთი და ქ მალი.

ფრანგული გაზეთი „ჟურნალ დედებ სწერს:

თავის თავად ცხადია, რომ სომხეთ საწინააღმდეგო ქემალისტებისა და ბო ლშევიკების შეერთებული მანევრი არ ამავე დროს ანტანტის წინააღმდეგ მ მართული მანევრია. ჩვენ უნდა ვეფ როთ რომ ანტანტის სახელმწიფო რაც კი შეუძლიათ, ყველაფერს იზ რომ შეამაგრონ სომხეთი და აგრეთვ საქართველოც, რომელიც არის აგრეთვ ამავე მუქარის საგანი. სამწუხაროთ, ანტანტის სახელმწიფოთ ნაკლებათ აქვ ხელთ პირდაპირი მოქმედების საშუალ ბანი. მიუხედავათ ამისა, მაინც რა უნდა გაკეთდეს. შეუძლებელია, ხელ შეეწყოს სტამბოლისა და ანგორის შე რიგებას, თუ ანგორის მთავრობა იერო შით მიდის სევრის ხელშეკრულობისა დ ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელ საც ეს ხელშეკრულება სცნო.

უცხოეთში

სოკოლოვი ინგლისის პარლამენტში.

რუსეთის დამფუძნებელი კრების წევ რო, ცნობილი ს. რევოლიუციონერი ბ რის სოკოლოვი დღეს ლონდონში მ ფება და განზრახული აქვს ინგლისის პარლამენტში საგანგებო მოხსენება მოვიდეს რუსეთის მდგომარეობის შესახ

ხელმწიფო მოღვაწეთა წრეში ყველას ამაში არწმუნებს, რომ რუსეთთან ეკონომიური ხელშეკრულების დადება ანტანტის სახელმწიფოებს ვერაფერს შესძენს, საბჭოთა რუსეთის პრესტიჟს კი აამაღლებს.

აღკრძალული გაზეთები.

პოლონეთში აღკრძალულია შემდეგი გაზეთების შემოსვლა: ბურცევის „ობშჩეე დელო“, „რუსკოე დელო“, „რუსკაია ზემლია“, „ნოვაია რუსკაია ჟიზნ“, და „გოლოს რუსი“, სახელდობრ ეს გაზეთები აწარმოებენ პოლონეთის წინააღმდეგ კომპანიას.

ავსტრიის არჩევნები.

ავსტრიის უკანასკნელ არჩევნებში გაიმარჯვეს ქრისტიან სოციალისტებმა. ეროვნულ საბჭოს პრეზიდენტის ადგილზე წამოყენებულია ქრისტიან სოციალისტების ლიდერი ვესკურისნდრის კანდიდატურა.

ყოფილი მეფე კონსტანტინე.

ინგლისური ოფიციალ წრეები აცხადებენ, რომ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი არ მოითმენენ ყოფილ მეფე კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნებას. კონსტანტინე გერმანიისადმი თანაგრძნობით არის გამსჭვალული.

საფრანგეთში.

სამხედრო სამსახურის ვადა

მინისტრთა საბჭოში მთავრობის ყველა წევრებმა სამხედრო სამსახურის ვადად ერთხმად 18 თვე მიიღეს. ეს დადგენილება ძალაში შევა 1922 წ. ოქტომბრიდან.

ავსტრო-გერმანიის საკითხი.

გაზ. „ვერქტუარი“ სწერს შემდეგს: „6 მილიონი ავსტრიელი წმინდა გერმანული სისხლისაა. არ არის ქვეყნად ისეთის ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ 6 მილიონი ხალხის გათიშვა გერმანიიდან. კარგს იზამდა ჩვენი დიპლომატია, რომ ამ გარემოებას ანგარიშს გაუწევდეს და მოკავშირე სახელმწიფოებთან გასაგებ ენით გამართავდეს საუბარს“.

მანდატორები.

გაზეთი „ტიმესი“ სწერს: „საფრანგეთის მთავრობამ აუწყა ერთა ლიგის საბჭოს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებით გადაწყვეტილია ინგლისმა მიიღოს მანდატი მესოპოტამიაზე და პალესტინაზე. საფრანგეთმა კი სირიაზე და ლევანტზე. ეს არის პირველი კატეგორიის მანდატები, რაც შეეხება მეორე და მესამე კატეგორიას, როგორიცაა მაგალითად გერმანიის ყოფილი კოლონიები, მათ შესახებ ჯერ შეთანხმება არ მომხდარა.

ერთა ლიგამ მოკავშირე სახელმწიფოთა წინაშე აღძრა აგრეთვე კითხვა, მიიღებენ თუ არა ისინი სომხეთზე მანდატს.

ეს საკითხი გართულებულია იმ გარემოებით, რომ სომხეთს ჰსურს ერთა ლიგაში წევრად შესვლა“.

ტელეგრამები.

ს. დ. ს. საინფ. ბან. ცნობები.

იტალიის მთავრობის კრიზისი

რომი. „იდეა ნაციონალი“ იუწყება: ჯოლიტი ფიზიკურად იმდენად სუსტად გრძნობს თავს, რომ შესაძლებელია ახლო მომავალში მას მთავრობის თავმჯდომარის ადგილის დატოვება მოუხდეს. ჯოლიტის კანდიდატად ასახელებენ ნიტის...

მდგომარეობა რუსეთში.

პარიზი. „ტანის“ სიტყვით რუსეთში მომხდარ არეულობის შესახებ ევროპის პრესის ცნობის საპასუხოდ ჩიჩერინმა სთქვა, პეტროგრადში ისეთივე მყუდროებაა, როგორც საბჭოთა რუსეთის დანარჩენ ქალაქებში. რუსეთში მომხდარ არეულობის შესახებ მოთავსებული ცნობები ყალბია. რუსის საზოგადოების მორალური მდგომარეობა საუცხოვოა.

მილისტების მიზანი.

ლონდონი. „ტაიმსი“ სწერს: ქემალისტების ძირითადი მიზანი სომხეთში არის მოკავშირეებზე და ამერიკაზე ზეგავლენის მოხდენა. იმ აზრით, რომ შეჩერებულ იქმნეს ბერძნების წინსვლელობა მცირე აზიაში. თანახმად ცნობების კონსტანტინოპოლის მთავრობა არავითარ პრესტიჟით არ სარგებლობსო.

იტალიის სოციალისტები.

პარიზი. „ტანი“ სწერს: გაფიცვათა შედეგები უფრო მძიმეა ბალონში, მილანში და ტრიესტში. ამ ქალაქებში მომხდარმა ამბებმა მთელი იტალია კომუნისტების წინააღმდეგ აამხედრა. პოლიტიკურ და მუშების წრეებში ამბობენ, რომ სოციალისტებსა და ბოლშევიკ-ანარქისტებს შორის სრული განხეთქილება მოხდაო. პრესა წესრიგის დასამყარებლად მთავრობასა და საზოგადოების ენერგიულ ჩარევას მოითხოვს.

რუსეთის ცნობები.

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი 23 ნოემ. მოზირის რაიონში მოზირის სამხრეთით 25 ვერსზე და დასავლეთით 15 ვერსზე ჩვენ ადგილები დავიკავეთ: პრიპიატის მარცხენა ნაპირზე ჩვენ დაბა ხოიონიკი ავიღეთ. მტრის მთავარი ძალა თავს იყრის მოზირის აღმოსავლეთით. კორესტენ მოზირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ნაროვი აიღო და ლისკას რაიონისაკენ წინ წაიწია. სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მდ. სლოვჩიას მარცხენა პირზე წინ წაიწია. და უკან დახეულ მტერს სდევნის. წამოვიყვანეთ ტყვეები ვოლოჩისკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მტრის შევიწროებას განაგრძობს. ჩვენი ჯარი ვოლოჩისკის სამხრეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე იმყოფება. ნოემბრის 20 ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე ხელთ ვიგდეთ 17 ტყვიისმფრქვეველი, ჯავშნიანი მატარებელი „ზაპოროჟეცი“ ორი ზარბაზნით და 6 ტყვიისმფრქვეველით.

ინგლისში. პროფ. კავშირთა საერთაშორისო კონგრესი შესდგება ლონდონში ნოემ. 22 დღის წესრიგში სდგას: 1, საერთაშორისო ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ 2. საკითხი ვალიუტის სოციალიზაციის და ნედლი მასალის განაწილებისა.

ფინეთის მთავრობის მდგომარეობა.

ერიხის მთავრობა ფინეთში გადადგა მიზეზი გადადგომისა მხარის ეკონომიური მდგომარეობა და ამნისტიის გამოუცხადებლობის სურვილი.

გერმანული ცნობა

ბელგია და გერმანია

გერმანიის მთავრობამ მიმართა ბელგიას საპროტესტო ნოტით ბელგიის პრემიერის განცხადებისა და ოფიციალური ორგანოში გამოქვეყნების გამო შესახებ ეიპენის და მალმედის ბელგიასთან შეერთებისა, მას შემდეგ რაც ეს ადგილები 100 წელზე მეტია ჩამოცილებულია ბელგიაზე. ნოტა იხსენიებს, რომ ეიპენი და მალმედი პრუსიას ეკუთვნოდა დიდი ხანის წინად სანამ გახლეჩილი ბელგიის სამეფო დაიწყებდა არსებობას.

რელიგიის საკითხი.

ლაიპციგის უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ჰამბურგის, ბრემენის და საქსონიის საგანგებო კანონი, რომელიც სრულებით სპობს საზოგადოებრივ შკოლებში რელიგიურ სწავლა-აღზრდას-კონსტიტუციის წინააღმდეგია. ეს კი კვლავ რელიგიურ სწავლა-აღზრდის შემოღებას ნიშნავს.

იტალიის მისიის ცნობა.

ახალი მთავრობა.

ლისაბონი. პორტუგალიაში შესდგა ახალი კაბინეტი პროგრესისტ ალვარეცის თავმჯდომარეობით.

ლიონის ცნობები.

საფრანგეთი და ინგლისი.

„პტი პარიზიენ“-ს მოყავს „მორნინგ პოსტში“ დაბეჭდილი წერილების ზოგიერთი ადგილი, სადაც ხაზგასმულია საფრანგეთ-ბრიტანეთის კავშირის სიმტკიცე: ჩვენმა მეგობრობამ საფრანგეთთან, სწერს ინგლისური გაზეთი, სარგებლობდა უნდა მოუტანოს ორივე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ ერთი მათგანი გაჭირვებაშია ან თუ მოელის რაიმე საფრთხე.

არეულობა დუბლინში. სინ-ფეინერთა შეიარაღებული ძალები თავს დაესხენ საოკუპაციო კორპუსის იმ ოფიცერთა სადგომებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ საველე სასამართლოში, სადაც აჯანყებულთა საქმე ირჩეოდა. მოკლულია რამდენიმე ინგლისელი ოფიცერი.

ბელგრადიდან მოსული ცნობით სერბიის პრინც-რეგენტმა მოახდინა რაპალოს ზავის რატიფიკაცია.

ერთა ლიგაში. ერთა ლიგის საბჭოს სხდომა შესდგა კვირას გიმონსის თავმჯდომარეობით. დაესწრო ლეონ ბურჟუა. განიხილეს პოლონეთ-ლიტვის სადაო ტერიტორიაზე სახალხო კონსულტაციის დაარსების საკითხი.

„მატენ“-ი სწერს: ერთა ლიგის მე-5 კომისიის სხდომაზე (ამ კომისიას დავალებული აქვს ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა საკითხის განხილვა) ვივიანმა შემდეგი წინადადება შეიტანა: არც ერთი სახელმწიფოს მიღება არ შეიძლება ერთა ლიგაში, თუ ის არ აკმაყოფილებს 4 მოთხოვნილებას, სახელდობრ: 1, სახელმწიფომ უნდა აღასრულოს ყველა ინტერნაციონალური ვალდებულება, რომელიც მას მიუღია თავის თავზე. 2, ამ სახელმწიფოს უნდა ყავდეს პასუხის მგებელი მთავრობა, რომელიც ხალხის ვალდებულებებს მიიღებს თავის თავზე. 3. ეს სახელმწიფო ისე უნდა იყოს გაწესრიგებული, რომ ერთა ლიგა დარწმუნებული იყოს მის მიერ მიღებულ ვალდებულებების აღსრულებაში. 4. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ნამდვილი საზღვრები და ამ საზღვრებში მისი მცხოვრებლები ერთს ეროვნებას წარმოადგენდნენ. თათბირის შემდეგ კომისიამ, რომელშიც შედის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი, ერთხმად მიიღო ვივიანის წინადადება. „მატენი“ აღნიშნავს, რომ დიდბრიტანეთის წარმომადგენელმა ფიშერმა პირველმა დაუჭირა მას მხარი. ლორდ რობერტ სესილი მიემხრო მას უკამათოთ.

„დეილი ექსპრესი“ იუწყება: ლორდ ჩელმს ფორლის მაგიერ ინდოეთში დაინიშნა მეფის თანაშემწეთ უილინგტონი.

ემილ ვანდერველდე საქართველოს შესახებ. ბრიუსელის გაზეთ „ლე-პეუპლ“-ში ოქტომბრის 21 ს №-ში მოთავსებულია ემ. ვანდერველდეს წერილი სახელად „პირველი სოციალისტური მთავრობა“ მთელი წერილი საქართველოსადმი მხურვალე თანაგრძნობით არის გამსჭვალული. ავტორი დაწვრილებით ახასიათებს ქართველ დემოკრატიის მიერ განვლილ გზას და მთავრობის მიერ შექმნილ პოლიტიკას. საქართველოს მთავრობას ავტორი უწოდებს პირველ სოციალისტურ მთავრობას ქვეყანაზე წერილი ამ სიტყვებით თავდება: „რათა საქართველოს მიერ დაწყებული საქმე და ცდა, რომლის დიდი მნიშვნელობა ყველასთვის თვალსაჩინო უნდა იყოს კეთილად განვითარდეს და დაგვირგვინდეს, საჭიროა გარკვეული საერთაშორისო მდგომარეობა ჰქონდეს მას: საქართველოს მთავრობა, რომელიც დეფაქტო ცნობილია კიდეც, ახლო მომავალში უნდა ცნობილ იქმნას „დეიურე“-

„თუ, რომ ქვეყნად სადმე არსებობს ისეთი მხარე, რომელსაც თავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლით და ერთსულოვნების სრული შეგნებით დაუმსახურებია ცნობა, ასეთი მხარე უწინარეს ყოვლისა საქართველოს რესპუბლიკაა.

„ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ახლო მომავალში საქართველოს უფლებები ცნობილ იქნება“.

დარბაზობა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იტალიის ელჩთან საუბარი ჰქონდა აღმოსავლეთის საქმეების შესახებ.

საბერძნეთი და ანტანტი.

პარიზსა და ლონდონს შორის გრძელდება მოლაპარაკება საბერძნეთის საკითხის შესახებ.

ერთა ლიგა და სომხეთი.

პარასკევს ღამით ერთა ლიგის სხდომა მიანდომეს სომხეთის საკითხს. საფრანგეთის დელეგატმა ვივიანმა შეიტანა წინადადება, რომ ერთა ლიგის საბჭოს სხვა ზომებთან ერთად დაესახელებია ის სახელმწიფო, რომელსაც მიანდობენ ზომების მიღებას სომხებსა და ქემალისტების შორის მტრული განწყობილების მოსასპობათ. ვივიანის წინადადება მიიღეს. დანიშნული იქნება 6 წევრი, რომელთაც მიენდობათ ზომების გამოძებნა იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.

სასამართლოში მატიანე.

საქმე გენ. მაზნიაშვილის და სხვა განაჩენი.

გუშინ სამხედრო სასამართლოში დამთავრდა საქმე გენ. მაზნიაშვილის, პოლ. ჭიჭინაძის შტ. რ. ნაზარეიშვილის, კაპ. მამულაიშვილის და უმცროს ოფიცერის კანდელაკისა.

ნაფიც მსაჯულთა მიერ ბრალდებულნი ყველა ბრალდებაში უდანაშაულოდ იქმნენ ცნობილნი და გამართლებულნი. სასამართლოში დამსწრე საზოგადოება აღტაცებით შეეგება ამ განაჩენს.

საქმე ივ. ვარაზაშვილისა

საოლქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით დაიწყო საქმის გარჩევა. საქმე ივანე ვარაზაშვილისა და ხაზინის ბუხჰალტერ მაზიტაშვილისა და მწერალ ოქროევისა. პირველს ბრალდება სახელმწიფო ბანკიდან 1 მილ. 775 ათას მან. გატანა იმ დროს, როცა ასიგნობის განაღდება იყო აკრძალული, ხოლო უკანასკნელს ყალბი საბუთის შედგენა ხაზინაში.

ამ საქმეზე სამართალში გამოწვეულ 55 მოწმიდან გამოცხადდა 35 მოწმე, მათ შორის გ. ჟურული, სახელმწიფო პალატის უფროსი ბ ვირსალაძე და სხ. ნაფიც მსაჯულთ მამასახლისად აირჩიეს ნიკო თავდგირიძე. ბრალდებულ ივანე ვარაზაშვილს იცავენ ნაფიცი ვექილნი ნ ქ. ნინიძე ნ. ელიავა, ი. ბარათაშვილი, ივ. ზურაბიშვილი ა. ანდრონიკაშვილი? ბრალდებულთ [illegible] ქავთარაძე, ოქროევ—დათიევი.

სასამართლომ დაიწყო მოწმეთა დაკითხვა, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს პროცესი ერთ კვირაზე ადრე არ დასრულდება. სასამართლოს თავმჯდომარეობს ბ. ვაჩნაძე, ბრალსა სდებს შ. დადიანი.

ახალი ამბები.

სამინისტროებში.

— **შრომის დაჯილდოება.** შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ შრომის დაჯილდოების პროექტის შესახებ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შემდეგი დასკვნა გამოიტანა: ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტს, რომელიც სასურველად სთვლის რა შრომის ნაყოფიერების გადიდებას რა გზითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია საქმის ინტერესებისათვის რომ შრომის დაჯილდოება შემოღებულ იქნას თანდათანობით. პირველ რიგში ჯილდო უნდა მიეცეს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ე. ი. იმ საქონლის რაოდენობის გადიდებისათვის, რომელსაც სამრეწველოს დაწესებულებანი ამზადებენ. ჯილდოს მიცემის წესების დეტალურად შემუშავება გაადვილებული იქნება, რადგანაც ტფილისში არის გამოცდილება. 1914 წლამდე ტფილისში არსებული ზოგი წარმოება ნარდათ მუშაობის სისტემას აწარმოებდა. დეპარტამენტს სასურველად მიაჩნია, რომ დაჯილდოების წესები უბრალო და ყველასათვის ნათელი იყოს, რათა ამ გვარად თავიდან იქნას აცილებული ყოველ გვარი გაუგებრობა და საჩივარი. ამისათვის კი საჭიროა შეიქნას ამ საქმის პრაქტიკულად მცოდნეთაგან შემდგარი კომისია. ეს კომისია შემდეგში გადაიქცევა შრომის სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ ორგანოდ, რომელსაც მინდობილი ექნება შრომის დაჯილდოების ყოველგვარი საკითხები. ამ კომისიას მოუხდება გამორკვევა მრავალი საკითხისა, რომლებიც შრომის დაჯილდოების საკითხთან იქნება დაკავშირებული მაგ. საწარმოო დაწესებულებათა უზრუნველყოფა, ნედლი სათბობი და ხელსაწყო მასალებით ან საწარმოვო იარაღებით, ბაზრის გაცნობა და სხვ. ყველა დაკავშირებული იქნება ჯილდოთა მიცემის საკითხთან.

სხვა და სხვა.

— **წმ. გიორგობა.** გუშინ, ქვაშვეთის ტაძარში, მწირველი იყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე. წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის დაწყების წინ მხურვალე სიტყვით მიმართა კათ—მამორწმუნე ერს.

წირვის დასასრულ ტაძრის წინ თავი მოიყარა საქართველოს ლაშქრის ნაწილმა და გამართა აღლუმი. აღლუმზე მობრძანდა იუსტიციის მინისტრი არსენიძე, რომელმაც ჯარს მიმართა მხურვალე სიტყვით, მიულოცა დღესასწაული და უსურვა საშობლოს თავდაცვის საქმეში სრული გამარჯვება, რის თავდებიც ამისთანა გამოცდილი ჯარის-კაცი და დახელოვნებული ოფიცრობა არისო. ჯარმა მადლობა გადაუხადა და უპასუხა „ვეცდებითო“.

შემდეგ ჯარმა ცერემონიალი მარშით გაიარა მინისტრის წინ. აღლუმს განაგებდა პოლკ. კვინიხიძე და კაპ. რამიშვილი.

შინაური ამბავი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან

22 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შემდეგი ნოტა გაუგზავნა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში:

„ვადასტურებ რა თქვენი ნოტების მიღებას მიმდინარე ნოემბრის 10-ს თარიღით № № 3294 და 3297 ვითომდა ქ. ბათომის მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ შეთანხმების ერთ-ერთ სახელმწიფოს მიერ, მაქვს პატივი განმეორებით დავადასტურო 4 ნოემბრის № 4599 ჩემს ნოტაში აღნიშნული მოსაზრებანი და განვაცხადო, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ყოფილიყო საფუძვლიანად ჩაგვეთვალა ხმები ბათომის ვითომდა მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ.

ქალ. ბათომი და ბათომის ოლქი წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის შეუნებრივსა და განუყოფელს ნაწილს და მათზე ვრცელდება განსაკუთრებული სუვერენული ხელისუფლება საქართველოსი, და ამიტომ ყოველი ღონისძიება მათი ხელუხლებლობის დასაცავად უკეთუ მას რაიმე საფრთხე მოელის, უნდა გამომდინარეობდეს არა სხვა ვინმესაგან, არამედ საქართველოს მთავრობისაგან.

საქართველოს ხალხი, რომელმაც დიდი მსხვერპლის გაღებით შესძლო თავისუფლების მოპოება და დაცვა, შესძლებს აგრეთვე მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველს ცდას, მისი სუვერენიტეტის დასარღვევად, ან მისი ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართულს, ვისაგან და რა მოსაზრებითაც უნდა მოხდეს ასეთი ცდა და თუ, როგორც ეს აღვნიშნე 4 ნოემბრის № 9599 ჩემს ნოტაში, ამ საკითხში საქართველო ვისგანმე თანაგრძნობას მოიპოვებს, ეს იქნება ჩათვლილი საქართველოს ხალხის მიმართ მეგობრულ გრძნობათა გამოსახვად.

ხოლო ყოველი განზრახვა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვისა და მუქარა მისი ტერიტორიის დარღვევისა, უკეთუ ამას ადგილი იქნება, ვისი მხრითაც უნდა იქნეს იგი მომართული, ცნობილ უნდა იქმნეს როგორც აქტი აშკარად იმპერიალისტური ხასიათისა, ისე როგორც ყოველი გამოსვლა ბათომის დამცველად, რამდენადაც ეს გამოსვლა ხდება საქართველოს მთავრობის ცნობისა და თანხმობის გარეშე.

გთხოვთ ზემოაღნიშნული აუწყოთ რ. ს. ფ. რ. მთავრობას. მიიღეთ და სხვა საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ კ. საბახტარაშვილი 23 ნოემბერი 1920 წ. № 10188. (ს. დ. ს.)

მწარე ფიქრები.

5.

მუხრანის რესპუბლიკა.

სოფელ მუხრანში ნ. მუხრანსკის აქვს ველებური სახლი თავისი ბაღითა და ვენახით. ეს სამოსახლო ადგილი მუხრანსკის ნორმაში ერგო და სხვა მამული სხვა ადგილი მას არსად არა აქვს რა, რადგან ყველაფერი ჩამორთმეული აქვს. თვითონ მუხრანსკი თბილისში სცხოვრობს, სარჩენი ჰყავს თოთხმეტი სული, მათ შორის რამდენიმე მცირე წლოვანი შვილი და მუხრანში მხოლოდ ზაფხულობით სცხოვრობს. სახლი ორ სართულიანია, ევროპიულად მოწყობილი. კაფელის ფეჩები, საბანებელი ოთახები და სხვა, ამასთან ოთახების მორთულობა, ავეჯეულობა, და სხვა და სხვა ძვირფასი განძეულობა დღევანდელ კურსის ფულით რომ შეფასდეს, მათი ღირებულობა აღემატება ორმოც მილიონ მანეთს. ამასთან უნდა შევნიშნო, რომ თუმცა დღევანდელი პატრონის მამა დიდი მემამულე იყო, შვილებს დაუტოვა ნახევრად დაქცეული სახლი და რამდენიმე დღიური მიწა, ისიც დაგირავებული და გადაგირავებული, ისე, რომ სახლი დღევანდელმა პატრონმა საგარეო ვაჭრობით ვალში რომ იყიდებოდა თავის ცოლის დის სახელობაზე შეიძინა და მასუკან რასაც კი გარედ შო-

ჩააქროს და მეორე იმიტომ, რომ მის ცოლშვილს ზაფხულში სოფლად თავშესაფარი ჰქონდეს.

იმას იმიტომ ვამბობ, რომ მკითხველმა არ იფიქროს, რომ ეს სახლი და მისი მოწყობილობა ნ. მუხრანსკის გლეხის ოფლით აქვს შეძენილი.

ამ სახლის გარდა სოფელ მუხრანში მრავალი სხვა ორ და სამ სართულიანი სახლებია, რომელნიც ეკუთვნის სხვა და სხვა ყოფილ მემამულეებს ადგილობრივ მოვაჭრეებს და შეძლებულ გლეხებსაც კი, მაგრამ სოფელ მუხრანის თემის თავმჯდომარემ არჩია, არჩია და ეს სახლი ამოარჩია. ამორჩევა არაფერი, ეს ამტკიცებს თემის თავმჯდომარის გემოვნებას, თუმცა რამდენადაც ვიცით, დღემდის ის იყო ერთ მიყრუებულ სოფელში მღვდლად და ევროპა და ევროპიული ცხოვრება სიზმარშიაც კი არ უნახავს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამოირჩია, რაფრად მოინდომა მისი შეძენა და დასაკუთრება. იმას ამისთვის თავი დიდხანს არ უტეხნია, არც შრომა დაუხარჯავს და არც ერთი გროში. ყაჩაღი, რის ყაჩაღია, თუ თავის ნამოქმედარს სინიდისით ან ჭკუით ასწონ და სწონის, ღმერთსა ან ხალხს ანგარიშს გაუწევს, ან და გაძარცულში სალირალს გაიღებს, იარაღით დაგადგება თავზე, რაც რამა გაქვს წაგგლეჯავს და თან დაგემუქრება, თუ კრინტი დაგიძრავს, თუ სადმე დაგიჩივლია, სიცოცხლესაც წაგართმევო.

ასე მოიქცა მუხრანის თემის თავმჯდომარეც. მიმდინარე წლის გაზაფხულზე მივიდა ნ. მუხრანსკის სახლში, და რადგანაც პატრონი იქ არ იყო და იქ

ნებმა თან წაილესო, სახლი გასტეხა, შევიდა შიგ და თავისი სამმართველოთი დაბინავდა. პატრონს დაუტოვა მოსამსახურის ოთახი და სამზარეულო და ისიც იმიტომ, რომ იქ ზემომოხსენებული მოსამსახურე იდგა და ვერაფრის გზით ვერ გამოაძევეს.

პატრონი წავიდა საჩივლელად. ვისთან? ისევ იმ გაწამებულ მთავრობის თავმჯდომარესთან. მთავრობის თავმჯდომარე ჩვეულებრივად საქმეს გულით მოეკიდა, დასწერა ბრძანება და გაუგზავნა დუშეთის ერობას. ერთხელ კიდევ აუხსენით მუხრანის თემის თავმჯდომარეს, რომ მთავრობის ახალი დეკრეტით ყოველგვარი რეკვიზიციები აკრძალულია და უბრძანეთ, მუხრანსკის სახლები თემმა გაანთავისუფლოსო. არავინ იცის, უთხრა რამე, ან თუ უთხრა რა უთხრა დუშეთის ერობამ მუხრანის თემს, ვიცით მხოლოდ, რომ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება ბრძანებად დარჩა. ვიცით აგრეთვე, რომ ამ ბრძანების ასლი თვით პატრონმა აუტანა თემის თავმჯდომარეს, რომელმაც რომ წაიკითხა ბრძანება გაიცინა და სთქვა: რეკვიზიცია არ შეიძლება? იძულებით ჩამოგართმევთო! პატრონი საჩივლელად ისევ ტფილისისაკენ გაემგზავრა. მთავრობის თავმჯდომარემ მეორედ გასცა ბრძანება, არც იძულებით ჩამორთმევა შეიძლება და მუხრანსკის სახლი დაუყონებლივ გაანთავისუფლეთო. არც ეს ბრძანება შეასრულეს. ამ ბრძანებაზე თემის თავმჯდომარეს აღარ გაუცინია, ახლა თურმე მრისხანედ ბრძანა: ჟორდანია რა ჩვენი ბრძანებელია. ჟორდანია ჩვენ ამოვირჩიეთ და არა

რას გააწყობდა საცოდავი სახლის პატრონი და მუხრანის თემის თავმჯდომარის მიერ „არჩეული“ ნ. ჟორდანია და ორთავემ გადასწყვიტეს, სასამართლოსთვის მიემართათ. მაგრამ სანამ საქმე სასამართლოში გაირჩეოდა, არ ვიცი მთავრობის თავმჯდომარის დავალებით, თუ თავისი ინიციატივით, ან და თავის საქმეზე, ეს სულ ერთია, მუხრანში ავიდა მოხუცი ის რამიშვილი. თემის თავმჯდომარემ სტუმარი მიიწვია წართმეულ სახლში და საუზმე გაუშალა. რამიშვილმა შეხედა ძვირფასი მატერიებით გადაკრულ რბილ საწოლ-საჯდომებს, ხალიჩებს, ფარდებს, კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს, ძვირფასს ლამფებს და არა სთქვა რა, შემდეგ როდესაც გაუშალეს სუფრა ხელსახოცი, თეფშები და დანაჩანგალი მუხრანსკის ვენზელებით, გაკვირვებით იკითხა: ვისია ეს ძვირფასი მოწყობილობა და ავეჯეულობა? თემის თავმჯდომარემ ამაყად უპასუხა: ყველა ეს რასაც ჰხედავ და თვით სახლიც ნ. მუხრანსკისაა და ახლა ჩვენ ჩამოვართვითო.

მოხუცი რამიშვილი, როგორც ამბობენ, წამოდგა, დაიხურა ქუდი და უთხრა: თქვენ ბოლშევიკები ყოფილხართ, ძარცვა გლეჯის გზას დადგომიხართ, თქვენთან არამც თუ არ ვისაუზმებ, ერთს წუთსაც არ გაჩერდებიო. ამ სიტყვებით გამოვიდა თურმე და ის ღამე სხვა ბინაზე გაათია.

ამ ზაფხულზე ნ. მუხრანსკიმ მოინდომა ქალაქის სიცხით შეწუხებული ბავშვები წაეყვანა სოფლად. წინასწარ ავიდა მუხრანში და თემის თავმჯდომა-

და რადგანაც, როგორც ზევითაა ნათქვამი, პატრონის მფლობელობაშია მხოლოდ სამზარეულო და მოსამსახურის ოთახი, მუხრანსკის ოჯახი კი შესდგება 14 სულისგან და იქ ყველანი ვერ მოთავსდებოდნენ, ამიტომ მუხრანსკიმ თავისი ოჯახი ორად გაჰყო, ერთი ნახევარი წაიყვანა სოფლად, ნახევარი ზაფხული გაატარებინა, შემდეგ ეს ნახევარი უკან ჩამოიყვანა და ზაფხულის მეორე ნახევარზე ოჯახის მეორე ნახევარი წაასხა. ერთი დამახასიათებლად წვრილმანი კიდევ: ჩამორთმეულ ავეჯეულობათა შორის არის თურმე ორმოცამდე ლამფა. მუხრანსკი სთხოვა თურმე, ზაფხულში სანამ აქ ვიქნები ერთი ლამფა დამითმეთო. არ დაუთმეს და რადგან მუხრანში გასაყიდი ლამფა ვერ იშოვნა, მუხრანსკი იძულებული იყო ტფილისში ჩამოსულიყო და აქედან წაეღო.

შემდეგ ტფილისის საოლქო სასამართლომ გაარჩია ეს საქმე. მომჩივანის სასარგებლოდ გადასწყვიტა, პატრონმა აღმასრულებელი ფურცელი შენობის განთავისუფლების შესახებ, ჯიბეში ჩაიდო. წავიდა და სისრულეში მოსაყვანად მცხეთის სამოსამართლო მოხელეს ჩაიბარა, ბოქაული ავიდა მუხრანში, ჯაჭვი გადაიდვა და შეუდგა კანონის სისრულეში მოყვანას, მაგრამ თემის თავმჯდომარემ ბოქაულიც უკან აქცია. არც სასამართლოს ვიცნობ, არც მის აღმასრულებელ ფურცელს, არც კანონსა და არც შენო...

ბოქაულს სხვა არა დარჩენოდა რა, ოქმი შეადგინა და ამ ოქმით დაბრუნდა

დახვდა და ჩემ კითხვაზე მიპასუხა, თემის თავმჯდომარისაგან ერთი ოთახი მიქირავს და ვდგევარო. (?!)

ბოლოს და ბოლოს ეს საქმე მთავრობის სხდომაზე გაირჩა, რომელსაც დაესწრო ყველა მინისტრები. მთავრობამ ცეცხლის ჩაქრობა მოინდომა და ამიტომ დაადგინა: რადგანაც მუხრანის თემს ბინა ესაჭიროება და ეს ბინა ჯერ ჯერობით არა აქვს, ამიტომ სთხოვონ ნ. მუხრანსკის თავისი სახლი მისცეს თემს იჯარით, ერთი წლით საფასურის გაღებით (ამ დადგენილებაზე ხელი უწერია ყველა მინისტრებს). დაიბარეს და მუხრანსკი და წაუკითხეს ეს განაჩენი.

მუხრანსკმა უპასუხა: თუ თქვენთვის მართლა საჭიროა ჩემი სახლი და თუ მთხოვთ და არა ყაჩაღურად მართმევთ, ინებეთ, არც ქირა მინდა და არც სხვა არაფერიო. უფასოდ მთავრობა არ დათანხმდა და მოსთხოვა პატრონს დაერქვა თავისი ფასი. მაშ რახან არ მეშვებითო, უპასუხა პატრონმა, ჩემი მამული ღირს 12 მილიონი, თემმა მომცეს იჯარა თვეში 5 ფუთი ხორბალიო. მთავრობა ამ ფასზე გაჩერდა, თვით შეადგინეს ხელშეკრულობის ქაღალდი და მისცეს პატრონს, ადი მუხრანში და თემის თავმჯდომარეს ხელი მოაწერინეო. პატრონმა წაიღო ეს ქაღალდი, მაგრამ თემის თავმჯდომარემ უკან გამოუგზავნა. ისევ მინისტრებს მიუტანე, ხელიც იმათ მოაწერინე და იჯარის ფასიც იმათ გადაიხადონო.

საქმე ჯერ ამაზეა გაჩერებული. ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში საქართველოს რესპუბლიკა თუ მუხრანის რესპუბ-

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში. გაზეთებში მოთავსებულ ყალბ ცნობების გასაფანტავად შესახებ იტალიურ გემ „ანკონა"-სი გაუწყებთ, რომ როგორც სჩანს ბათომის ნავთსადგურის უფროსის საგანგებო კომისარისადმი პატაკისაგან, გემი „ანკონა" დატვირთული იყო საქონლით საქართველოს მთავრობისათვის და მხოლოდ ის ნივთები, რომელიც საქართველოს მთავრობას არ დასჭირდებოდა, გადაეცემოდა სომხეთს ან სპარსეთს. გემი „ანკონა" იტალიის სახელმწიფო რკინის გზების უწყებას ეკუთვნის და არავითარი დარღვევა საერთაშორისო კანონებისა მას არ ჩაუდენია. იგი გაჩერდა რეიდზე და არ შევიდა ბათომის ნავთსადგურში, რადგანაც არ იცოდა, სად უნდა გადაეტვირთა საქონელი, ბათომში თუ ფოთში და თბილისიდან განკარგულებას ელოდებოდა. ტვირთის მანიფესტი (სია) გასინჯულ იქნა ნავთსადგურის უფროსის მიერ, საიდანაც აღმოჩნდა, რომ გემზე არავითარი იარაღი და თოფწამალი არ ყოფილა. ამას უნდა დავუმატოთ, რომ გემის ნავთსადგურში შემოყვანაში ინგლისელები არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ.

ფოთის ხიდი. 18 ნოემბერს ფოთის ხიდზე გაემგზავრა გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე, გზათა უფროსის ინჟინერ ა. კანდელაკის და სალიანდაგო ნაწილის უფროსის ინჟინერ კარპოვიჩის თანხლებით, ფოთის ხიდის ოფიციალურად მისაღებად და მასზე მოძრაობის გასახსნელად. მიღებას აზერბეიჯანის რკინის გზების წარმომადგენლებიც დაესწრებიან."

— ქუთაისის რეალური სასწავლებლის ექიმმა ი. ბ. მეპურიშვილმა რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნა საშუალო სასწავლებლის კურსი „ჰიგიენა" დ. ლიატროპოვისა და ვ. ზავიალოვისა.

— ამ დღეებში დაამთავრებს ცნობილ ვ. ულიანინსკის „არა ორგანიული ბუნების" სახელმძღვანელოს თარგმნას. (კურსი უმაღ. დაწყ. სასწ. 1 კლ.)

— ოთხშაბათს 25 ნოემბერს საღამოს 7 საათზე დანიშნულია სტ. კავშირის გამგეობის არა ჩვეულებრივი კრება სტ. სასადილოში წევრების დასწრება აუცილებელია.

— საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი 1920 და 1921 წლისა. დაიბეჭდა მეორე ბიუჯეტი საქართველოს რესპუბლიკისა 1920—1921 წლისა. ამ ბიუჯეტით მთელი ხარჯი მოსალოდნელია 8,552,414,771 მანეთი. რაც შედარებით 1919—1920 წ. 3,252,813,849 იძლევა მომატებას სამჯერ. უმეტესი ნაწილი ხარჯებისა ეკუთვნის სამხედრო უწყებას ეს იმას ნიშნავს, რომ სამშობლომ ამ დროს გაიღო ბევრი ხარჯები სამხედრო მოქმედებისათვის, აგრეთვე თვალსაჩინო როლს თამაშობს ხარჯების მომატებაში ჩვენი ფულის კურსის დაცემა. ამ წლის მთელი შემოსავალი მოსალოდნელია იმოდენი, რამოდენიც არის ხარჯები ე. ი. 8,552,414,742 მ. რაც მიემატა შარშანდელთან შედარებით 1919—1920 წ. თითქმის 11 ნახ. და თუ ვიტყვით იმას, რომ გათვალისწინებული შემოსავალი 1919—1920 წლისა სრულებით გამართლდა, უნდა დავიჯეროთ ამ წელსაც გამართლდება ჩვენი ანგარიში. თავი შემოსავალი, როგორც შარშან იყო სახელმწიფო მამულები და თანხებია. შემოსავალი იმათგან უნდა ყოფილიყო 24,654,330,315 მან. რაც შეადგენს 47, 10 პროც. მთელი ბიუჯეტისას. შემდეგი შემოსავალის წყაროთ იყო ხარკები. არა პირდაპირი, პირდაპირი ბაჟები და სხვა. არა პირდაპირი ხარკებიდან მოსალოდნელია 1,459,120,000 მან. პირდაპირიდან 200,811,000 მან. საბაჟოებიდან 94, 079,750 სახელმწიფო რეგალიებიდან 42,190,000.

— ტოტომიანცის ლექცია. დღეს ქართულ კლუბში ტოტომიანცი წაიკითხავს მოხსენებას „ცხოვრების გაძვირება და მასთან ბრძოლა". დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.

— დიდი ქურდობა. ნოემბრის 18 გ. მალალაშვილის ბინა (ახალი ბაზუთოვის ქ. № 3) გასცარცვეს. წაიღეს ხუთი მილიონის ნივთები. წაღებულია ტანისამოსი და ძვირფასეულობა: ქურდი-მოსამსახური ქალია, რომელიც ყალბი დოკუმენტით მისულა მალალაშვილთან, წოდებ და გერმანელად, ნამდვილათ კიჩხია.

— გრიგოლ როგავაძე მოიწვიეს უნივერსიტეტთან არსებულ საპედაგოგიო ინსტიტუტში ლექციების საკითხავად ახალი ქართული ლიტერატურის შესახებ, მაღალი კურსების სტუდენტებისათვის.

დამფუძნებელი კრება.

დღეს, ნოემბრის 24-ს, საღამოს 6 საათზე მოხდება საგანგებო სხდომა დამფუძნებელი კრებისა.

პირველი (ზოგადი) განხილვა საქართველოს კონსტიტუციის პროექტისა,—მომხს. პ. საყვარელიძე.

ცნობა:

კონსტიტუციის პროექტის ცალკე თავების მომხსენებელნი არიან:

თავი 1—ზოგადი დებულება, თავი 2—მოქალაქეობა—პ. საყვარელიძე.

თავი 3—მოქალაქის უფლებანი—კ. ჯაფარიძე.

თავი 4—პარლამენტი, თავი 5—აღმასრულებელი ხელისუფლება — ს. ჯაფარიძე.

თავი 6 — სასამართლო — სამსონ დადიანი.

თავი 7—სახელმწიფო ფინანსები — ივ. გომართელი.

თავი 8—კონტროლი—გ. გვაზავა.

თავი 9—სახელმწიფო თავდაცვა—სპ. კედია.

თავი 10—ადგილობრივი თვითმართველობა—მ. რუსია.

11 —ავტონომიური მმართველობა —აკ. ჩხენკელი.

თავი 12—სწავლა-განათლება და სკოლა—ლ. ნათაძე.

თავი 13—სოციალ-ეკონომიური უფლ. —აკ. ჩხენკელი.

თავი 14—ეროვნ.-უმცირესობათა უფ. —ლ. ნათაძე.

თავი 15—სახელმწიფო მოხელენი—კ. ჯაფარიძე.

თავი 16—სახელმწიფო და ეკლესია— ი. ბარათაშვილი.

თავი 17—კონსტიტუციის გადასინჯვა —პ. საყვარელიძე.

სტუდენტთა ცხოვრება.

სამეცნიერო წრე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველ აგრონომ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, ნოემბრის 20, სტ. ალ. სანაძემ წაიკითხა მოხსენება: „რქიან საქონლის მოშენების სხვა და სხვა მეთოდები." მოხსენებას დაესწრო მრავალი წევრი და პროფესორთა პერსონალი. მომხსენება მეტად შინაარსიანი გამოდგა, ეტყობოდა მოხსენელს ბევრი ემუშავნა და საკითხი ყოველ მხრივ დაემუშავებინა. მანვე გაუზიარა დამსწრეთ საკუთარი დაკვირვებანი სხვა და სხვა თემებში ჩვენებურ ჯიშების გაუმჯობესობის შესახებ. მოხსენების დამთავრების შემდეგ, წევრებმა მისცეს შეკითხვანი, რომელზედაც მომხსენებელმა ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. დამსწრეებმა მომხსენებელი ალექსანდრე სანაძე მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

მოხსენება უნივერსიტეტში.

შაბათს ა. წ. ნოემბრის 27-ს ბუნების მეტყველ აგრონომ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, სტ. ნიკო კეცხოველი წაიკითხავს მოხსენებას:

„ბოტანიკური მოგზაურობა თუშეთში" მოხსენების დროს წარმოდგენილ იქნება ფლორის დამახასიათებელი ნიმუშები. აგრეთვე ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები თუშეთის ბუნებისა.

დასწრება შეუძლიანთ არა წევრებსაც. დასაწყისი 7 ნახ. საათზე, მოხსენება წაიკითხება გეოგრაფიის აუდიტორიაში.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა.

საზღვარ გარეთიდან ტფილისში დაბრუნდა მომარაგების მინისტრის ამხანაგი ი. ჭავჭანიძე, რომელმაც საქართველოს დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს შემდეგი ცნობები გადასცა: ი. ჭავჭანიძემ ინახულა კონსტანტინოპოლი, პარიზი, რომი, გენუა და სხვა ქალაქები.

გამგზავრების მთავარი მიზანი იყო მომარაგების სამინისტროს მიერ უცხოელ ფირმებთან უშუამავლო დამოკიდებულების დაკავება. ეს მიზანი კარგად შესრულდა. ჩვენ შევძელით დაგვეჭირა კავშირი მთელ რიგ ფირმებთან, რომლებმაც განაცხადეს სურვილი საქართველოში თავიანთ ფაბრიკატების შემოტანისა, რომლის სანაცვლოდ ეს ფირმები საქართველოს მომარაგებისაგან მიიღებენ ნედლს მასალას. ი. ჭავჭანიძის სიტყვით ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები დიდი ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობიან საქართველოს. ამ მიმართულებით ნიადაგი ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრის კანდელაკისაგან იყო მომზადებული, ვინაიდან მას თან დიდძალი ცნობები ჰქონდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრის შესახებ. კანდელაკმა შესძლო საფრანგეთისა და იტალიის ფინანსიური და სამრეწველო წრეების საქართველოთი დაინტერესება. კანდელაკს ყველგან კარგათ ხვდებოდნენ, ვინაიდან მან შესაფერ წრეებში დიდი სიმპატიები დაიმსახურა. კანდელაკის მისიის მუშაობამ მოამზადა ნიადაგი გეგეჭკორისათვის, რომელიც პარიზში მილიერანმა და ლეიგმა მიიღო. გეგეჭკორი პარიზში დიდის თავაზიანობით მიიღეს. ამასთანავე მას გარკვევით განუცხადეს, რომ საქართველო იქნება ცნობილი იურიდიულად, ვინაიდან მან უკვე დაიმსახურა უფლება დამოუკიდებელ ცხოვრებისაო. ამ მიმართულებით იმდენად დიდი შედეგები არის მიღებული, რომ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც წინეთ გაგონებაც არ სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ დღეს თვითონ ხელს უწყობენ ჩვენ მუშაობას. საფრანგეთის პალატის დეპუტატები ამბობენ, რომ თუ მთავრობამ დააგვიანა საქართველოს იურიდიული ცნობა, მაშინ ამ საქმეში თვითონ პალატა აიღებს ინიციატივასო. სხვათა შორის საქართველოს დამოუკიდებლობის ცხარე დამცველი არის რუსეთში ყოფილი ელჩი ნულანსი, რომლის თავმჯდომარეობით პარიზში საქართველოს წარმომადგენლების პატივსაცემლად ბანკეტი გაიმართა. შემდეგ ი. ჭავჭანიძე შეეხო დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ვითარებას და გამოსთქვა რწმენა, რომ ევროპა ბოლშევიზმისაგან ძლიერ შორს არისო. იტალიის შრომის სამინისტროს მდივანმა ლაბრიოლამ განუცხადა ი. ჭავჭანიძეს, რომ საერთოთ იტალიაში რეაქციონური განწყობილება არისო. მოელიან ახალ კაბინეტის შედგენას, რომლის ტენდენციები მილიტარისტული იქნებაო. მაგრამ ეს რეაქცია არ იქნება ხანგრძლივი, მას მუშათა გამოფხიზლება მოყვება თან. საზღვარ გარეთ რუსები ბლომათ არიან. კონსტანტინოპოლის შესახებ ამბობენ, რომ რუსებმა ოსმალეთის სატახტო ქალაქი უომრათ აიღესო. ყველგან რუსული ლაპარაკი მოისმის. სხვათა შორის ჭავჭანიძე იუწყება, რომ ერთა ლიგის წინასწარ კონფერენციაზე, რომელიც შესდგა მილანში ოქტომბრის 12, და რომელსაც არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა, დაესწრო გადამწყვეტი ხმის უფლებით საქართველოს წარმომადგენელი ჯაყელი, რომელმაც წარმოადგინა მოხსენება საქართველოს შესახებ. საქართველოს საკითხის განხილვის შემდეგ კონფერენციის თავმჯდომარემ შეიტანა წინადადება საქართველოს ერთა ლიგაში მიღების შესახებ. ეს წინადადება მიღებულ იქნა დიდი ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ რუსების ხმისა, რომელთა შორის აქსენტიევი იყო. (ს. დ. ს.)

თავდაცვის ფონდი.

რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი კომიტეტის პირველი სხდომა.

აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით ამა წლის 20-ს ნოემბერს საღამოს 7 ს. სასახლის ყვითელ დარბაზში შესდგა პირველი სხდომა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის კომიტეტისა, რომელსაც დაესწრნენ ქალაქთა კავშირიდან ნ. ელიავა, ერობათა კავშირიდან ის. სტურუა, თბილისის ქალაქის გამგეობიდან ვ. ხანანაშვილი, სავაჭრო სამრეწველო პალატიდან დ. აფხაზი, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტიდან გ. გვაზავა, სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის მთავარი კომიტეტიდან ი. გობეჩია, ნაციონალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტიდან გ. ვეშაპელი, დაშნაკციუტუნის მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი გ. ტერსტეფანიანი. და ფონდის დამხმარე მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი ს. ყორყოლიანი, კომიტეტმა მდივნათ აირჩია ბ-ნ ვ. ხანანაშვილი.

რესპუბლიკის დაცვის ფონდის შექმნის საშუალებათა შესახებ კომიტეტს ქონდა ხანგრძლივი მსჯელობა და დაადგინა: 1. თავდაცვის ფონდის უმთავრეს შემოსაწირ საგნებათ ჩაითვალოს ა) ხორბლეულობა) პური, სიმინდი, ლობიო, ცერცვი და სხვ., იმ პროვინციებში, სადაც ამათი მოსავალი არის, ყველი, მატყლი და სხ., ბ) ნივთები ძვირფასი ქვები, თვლები, ოქრო, ვერცხლი, ოქრო ვერცხლის ნაწარმოები, ნოხები და სხ., და გ) ფული. 2. სასწრაფოთ შეუდგეს კომიტეტი საორგანიზაციო მუშაობას, შეადგინოს ერობის, კოოპერაციის და პოლიტიკურ პარტიათა ადგილობრივი თავდაცვის (სამაზრო და საქალაქო) კომიტეტები იმავე წესით როგორც მთავარი კომიტეტია. კომიტეტმა გამოყო ორი დროებითი სპეციალური კომისია: 1) ინსტრუქციის შემდგენელი (აკ. ჩხენკელი, ის. სტურუა ვ. ხანანაშვილი) და 2. მოწოდებისა (აკ. ჩხენკელი, გ. ვეშაპელი, ი. გობეჩია). აგრეთვე დასახელებულ იქნა სამი უმთავრესი კომისია: 1. საპროპაგანდო, 2. შემკრებ შემნახველი და 3, სარევიზიო. შემდეგ საბოლოო საორგანიზაციო სხდომა კომიტეტისა დანიშნულია ა. წ. 25 ნოემბრის საღამოს 7 საათზე იმავე დარბაზში.

(ს. დ. ს.)

ჩვენი კორესპონდენცია

ს. ხაშმი.

დიდ გაკვირვებაში მოვვიყვანა „ერთობა"-ს № 255, მე-3 გვერდზე მოთავსებულმა ნიკოლოზ თუხარელის კორესპონდენციამ, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „ოქტომბრის 19, ს. ხაშმის მოწინავე ახალგაზრდობამ მოიწვია სამაზრო კომიტეტის წევრი.

ლ. კაკაბაძე ახალგაზრდა მარქსისტთა წრის დასაარსებლად".

რამდენადაც ჩვენ ვიცით ს. ხაშმის მოწინავე ახალგაზრდობა ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და არავინ არ მოუწვევია ს. ხაშმში მარქსისტთა ორგანიზაციის დასაარსებლად. მაშ, რას ნიშნავს

თუხარელისა?... რომელ „მოწინავე ახალ გაზრდობაზე"-დ არის ლაპარაკი ზემო ხსენებულ წერილში?..

ალბად ეს ის „მოწინავე ახალგაზრდობა", რომელსაც კოლექტივის წევრად აურჩევია ბ-ნი გიორგი ჭიაბრიშვილი, სრულიად მოუმზადებელი ყმაწვილი რადგან ისეთი პირი ყოფილა სათავეში არჩეული მაშასადამე თვითონ წრე უფრო დაბალ საფეხურზე უნდა იდგეს, სხვა წევრებზედ აღარაფერს ვიტყვით რადგან არ გვინდა გავიმეოროთ გ. ჭიაბრიშვილზე ნათქვამი სიტყვები. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას რომ შემთხვევით შეკრებილ ქალ-ვაჟებს არ ეწოდება „მოწინავე ახალგაზრდობის კრება."

მდეგ ნ. თუხარელი,—განუმარტა დამსწრეთ ორგანიზაციის დანიშნულებაო რასაკვირველია ლ. კაკაბაძე ეცდებოდა რაც შეიძლება რბილი და მიმზიდველ ხაზებით დაეხასიათებინა „მარქსიზმი"-ს პროგრამა, და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ „ამხ. ლ. კაკაბაძის სიტყვას ახალგაზრდობა შეხვდა დიდის აღფრთოვანებით."

განცვიფრებაში მოვყავართ „მარქსისტთა" „მოქმედებას. ისინი დიდის აღფრთოვანებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ს. ხაშმში „მოწინავე ახალგაზრდობის წრე შესდგაო."

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლ. კაკაბაძე არა „მოწინავე ახალგაზრდობა"-მ მოიწვია, არამედ, ს. ხაშმის „მოწინავე მარქსისტებმა" ვ. მაისურაძემ („ტურამ"), ანდრია ჭოქრაშვილმა და სხ. ამ „მოწინავე მარქსისტებმა" აღარ იციან რა საშუალებით გააფართოვონ თავიანთ პარტიის გავლენა; ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ისინი დიდის ალტაკებით უმასპინძლდებიან „მოწინავე ახალგაზრდობა"-ს, რომელიც თავის მხრივ ულოდინარობის და გაუგებრობის ბურუსში გახვეულნი, მხურვალე ტაშით ეგებებიან მათ.

ს. ხაშმის ნამდვილ და ჭეშმარიტ ახალგაზრდობას მარქსისტთა ჯგუფის დაარსება. მას აინტერესებს ხელოვნება, ის მიისწრაფის საერთო განათლებისაკენ, იგი ადგია თვითგანვითარების ნიადაგს და თავიდანვე ამ მიზანს ემსახურება.

ჩვენ კი უმორჩილესად ვთხოვთ ბ-ნ ნიკოლოზ თუხარელს ნუ უწოდებს ამის შემდეგ „მოწინავე ახალგაზრდობის" ტიტულს იმათ რომელთაც არაფერი გაეგებათ, არა მარტო მარქსის იდეებისა არამედ სხვა უფრო უბრალო ელემენტარულ საგნებისა.

ხაშმელი ახალგაზრდა.

თერჯოლის თემი.

პარასკევს, 12 ნოემბერს, ადგილობრივ სამმართველოში შესდგა თერჯოლის თემის ხმოსანთა კრება, სადაც დაესწრო სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ს. მენაღარიშვილი. ხმოსნები იყვნენ დაბარებული დილის 9 საათისთვის, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა, მაინც და მაინც ამ დღეს მოაწყვეს პარტიული კრება და დანარჩენ ფრაქციებს საღამომდე აცდევინეს. სამართლიანი იყო ეროვნულ დემოკრატებისა და ფედერალისტ ხმოსნების პროტესტი სოციალ-დემოკრატიული ხმოსნების მიმართ. ეს სხდომა დიდათ საინტერესო იქნებოდა, რომ არ მიფუჩეჩებულიყო გამგეობის წევრის ნესტორ ერგემლიძის და გამგეობის დანარჩენ წევრთა შორის მომხდარი ინციდენტი. ერთი კვირის წინად ისეთი ამბავი დატრიალდა თერჯოლის სამმართველოში, რომ ყველანი შეშფოთდენ, ერგემლიძემ ეჭვი შეიტანა გამგეობის დანარჩენ წევრებზე რომ ისინი ფულებს ფლანგავენ და სხვ. ასეთები, მაგრამ მკაცრმა რევიზიამ, რომელიც მოახდინეს გამგეობის თავმჯდომარემ (სამაზრო ერობის) კოტე ბეჩხიძემ და მისმა ამხანაგმა ს. მენაღარიშვილმა, დაარწმუნა, რომ ასეთს აქ ადგილი არ ჰქონია. ამის შემდეგ ბ. ერგემლიძე უნდა გაძევებულიყო ერობიდან, მაგრამ რაღაც მანქანის ძალით, ის დღესაც იქ ბრძანდება. მის მაგიერ კი წავიდა თემისათვის სასარგებლო მუშაკი მათე მაკარიძე. იმ კორესპონდენციამ, რომელიც იყო მოთავსებული „საქართველოს" № 138 ვ. გუთნურისპირელის მიერ და რომელიც სრულ სიმართლეს შეიცავდა დიდათ აღელვა ბ. ერგემლიძე. იგი ყველას ლანძღავდა უშვერი სიტყვებით. აღარავის აღარ ინდობდა და აღარც გამგეობაში მუშაობდა. ამის შემდეგ ერგემლიძისთვის პასუხი უნდა მოეთხოვათ, მაგრამ ჯერჯერობით ყოველივე მიფუჩეჩდა და „ზრდილობიანი" გამგეობის წევრი ისევ იქ არის მოკალათებული და ძველებურად უმასპინძლდება მოქალაქეთ...

დემოკრატი

ლაზეთისა და ლაზისტანის შესახებ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ლაზების ისტორიის და ეთნოგრაფიის შესახებ მე შევადგინე მთელი სერია წიგნების, მაგრამ მათს ბეჭდვას კი ვერ ვბედავდი სხვა და სხვა მოსაზრებით.

ამას წინეთ ბათუმში ყოფნისას გაზეთ „მთლიან საქართველოში" ორი წერილი დავბეჭდე ლაზების შესახებ. ეს წერილები ბათუმში მცხოვრებ ლაზებს წაუკითხავთ, მათ დიდათ სიამოვნებოდათ და მადლობა მითხრეს წერილების და ბეჭდვის გამო.

მათში ლაზური ენის პატივისცემა და სიყვარულის გრძნობები აშკარად მოისმის, ამიტომ ეხლა მე საჭიროდ მიმაჩნია ჩემი ნაწერების ცალკე წიგნებათ გამოცემა.

აი რა წიგნებს მაქვს დასაბეჭდად გამზადებულნი:

1, ბიზანტიის და რომაელთა უძველეს მწერალთა და გეოგრაფთა ცნობები ლაზების ვინაობის შესახებ.

2, კოლხები, ლაზები, მეგრელები ერთნი არიან და ამათი ენის კილოკავს შეადგენს ჭანური ენა, სვანური და აფხაზურიცა.

3, ლაზის ჭანის კავშირი მეგრელებსა და ქართველებთან და ლაზისტანის ისტორია მარტივად.

4, პროფესორი ნიკ. მარი და მისი სასპეტრო „იაფეტური მეთოდი", რითაც ნათლდება და მტკიცდება „ქართველის ნათესაობისა ლაზთ, მეგრელ, კოლხების და სხვათა შესახებ. და, ახალგაზრდა მკვლევარის შ. ბერიძის შრომა ლაზურ-მეგრული ენის ურთიერთობის შესახებ.

5, ოსმალთაგან ლაზისტანის დაპყრობა და ლაზების დამონება და განადგურება.

6, ლაზების ისლამთან დაკავშირება, ლაზების გათურქება და ლაზური ენის დაკარგვა, ლაზების გაღატაკება.

7, როდის და როგორ დაემხო ლაზებში ქართული ენა და ქართული ანბანი და მის მაგიერ როგორ აღორძინდა ოსმალური ენა და არაბული ანბანი.

8, ლაზური სახალხო ამბები, ლეგენდები და ძველი გარდმოცემანი.

9, ლაზური სახალხო ლექსები, ხოლო იგინი დაბეჭდილი ქართული ასოებით, როგორც ეს პირველად სცადა პატივცემულმა პროფესორმა მარმა.

10, ლაზებში დაშთენილი ზეპირი ცნობების შესახებ მათის ვინაობის და ქართველებთან და მეგრელებთან ნათესაობისა.

11, სამეგრელო და მეგრელების აღწერა უძველესი დროიდამ, შედგენილი უძველესის ისტორიული ცნობებით კალისტრატე ჟვანიას მიერ.

12, ლაზთა შეგნებისა და ხალხში დაშთენილი ზეპირი ცნობები, თუ როგორ ჩამოსცილდნენ მეგრელებს და სამეგრელოს.

ამ წიგნების დასაბეჭდათ მე აქამდის ხალისი არ მაქვნდა, რადგანაც ლაზებში გადაგვარების ზრახვანი ზომას იყო გადასული, ეხლა კი, რა კი მათში თვით ცნობიერებას აღორძინება მისცემია და ამის პატივისმცემელნიც გაჩენილან მათში, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ამ წიგნების დაბეჭდვა.

ზ. ჭიჭინაძე.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი სპ. კედია.

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

დაბრუნდა და გაანხლა ავადმყოფების მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასიას ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დილის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სა
[illegible]
ი. გ. [illegible]
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ნველებს. ცხენის ქოთაოს (საპ) კვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ცხვრის სასულე—მილის ავადმყო ვექიმობ „ნეიმანის და ვეხსელის" თოდებით. ვიძლევი დარიგებას ოტებნიაზე" (საქონლის მოვლა ნება). დილის 9—10 საათ. და 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბი

ქუთაისის
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნ ლებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღა 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (ვ ბაზარი) ბინა ყოფილი ვქ. ჭოლოშვილ
№ 3206

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი მლობა ახალი და ძველი სუსუნა სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საა დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11— ს. დილის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემ ლის აფთიაქის პირდაპირ. 32

მატარებელთა მიმოსვლ

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10
53 წ.
მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 14
მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10
37
მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს.
20 წ.
მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღში დილის 9
მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7
45 წ.
მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 ს.
30 წ.

თბილისში მოდ. ს.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდი
საღ. 10 ს. 27 წ.
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46 წ.
მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის ღა-
მის 12 ს. 2 წ.
თბილისში მოდის დილის 2 ს. 13 წ.
მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისისკენ გადის ღა-
მის 12 ს. 58 წ.
მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისისკენ მოდის ღა-
მის 2 ს. 16 წ.
თბილისში მოდის დილის 8 ს. 2 წ.
მატარებ. № 141.
სალოღლიდან თბილისისკენ გადი
დილის 9 ს 10 წ
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36 წ.
მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის დი-
ლის 8.
თბილისში მოდის დილის 4 ს. 53 წ.
მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის დი
4 ს. 20

სამობილიზაციო.

განცხადება.

იმ რთულ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებში მთავრობამ დაადგინა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მისი თავისუფლების დასაცავად ნაწილობრივი

მობილიზაცია.

ამ მიზნით გაწვეული იქნებიან ჯარში რესპუბლიკის ყველა ქვემევრდომი სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრენი

დაბ დებულნი

890, 1891, 1892, 1893 წლებში.

ხსენებულ წლებში დაბადებულნი სათადარიგო ჯარის-კაცნი და მოლაშქრენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა) ამა წლის 10 ნოემბერს, დილის 10 საათზედ ჯარში წასასვლელად.

გაწვევისაგან განთავისუფლება და ვადის გადადება სამოქალაქო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირთა მოხდება 1915 წელში გამოცემულ „სამხედრო ბეგრის დებულების" 33 მუხლის დამატების მიხედვით და რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 11 მაისის დადგენილების მე 3 მუხლის 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტების თანახმად. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 1920 წ. № 103) რომელთაც უნდა წარმოადგინოს სათანადო მოწმობები.

სამოქალაქო, საზოგადო და კერძო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირნი: რომლებიც თანამდებობის მიხედვით არ თავისუფლდებიან გაწვევისაგან, უნდა დაუყონებლივ იქმნენ დათხოვნილნი სამსახურიდან. ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 2 დღისა დღიდან მობილიზაციის გამოცხადებისა.

ამა წლის მორიგი გაწვევა (დაბადებული 1900 წელში) გადადებულია მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებამდის